სარბიელი

სპორტული გაზეთი | პარასკევი 29 ივნისი 2001 №120 (1393) | ფასი 50 თეთრი

სხვისი შვილების დიდ გზაზე

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონობის მაძიებელთა რიცხვი რვამდე შემცირდა. სამაგიეროდ, დარჩენილი მატჩებისადმი ინტერესი, როგორც საზოგადოდ ხდება ხოლმე, გაიზარდა. აბა, როგორ ვთქვათ, რომ მეოთხედფინალში არგენტინა — საფრანგეთი თვალსასაჩინო არ იქნება. არც ჩეხეთ — პარაგვაი და ჰოლანდია — ეგვიპტე უნდა იყოს ნაკლები. თუმცა, გვგონია, რომ განა — ბრაზილია ყველაზე დაძაბული იქნება. განა რა ძალის გუნდია განა? რისა და, ამ რამდენიმე წლის წინ მსოფლიოს ჩემპიონი იყო. ბრაზილიელთა წარდგენისგან კი თავს შევიკავებთ.

ჩეხმა ბიჭებმა ჯგუფში ნაყოჩაღებ და ნაქებ კოსტარიკელებს მერვედფინალში 2:1 მოუგეს

REUTERS სურათებიდან

უიმბლდონის კლასიკა: თამაში წვიმიდან წვიმამდე

გუშინ უიმბლდონზე ქოლგებიც გამოჩნდა

REUTERS ლონდონიდან

უიმბლდონის საჩოგბურთო ჩემპიონატი გუშინ დაგვიანებული და არცთუ სასურველი სტუმარი ეწვია. სამდღიანი დარისა და სარეკორდოდ ბევრი მაყურებლის მასპინძლობის შემდეგ „ოლ ინგლენდ კლაბს“ შავი ღრუბლები მიეჯარა და ჯერ დილით, მერე ... საღამოს ქომაგები და მოთამაშეები კორტიდან თითო-თითო საათით გააძევა. ამინდის ჭირვეულობა ფავორიტთა განწყობას სულაც არ დასტყობია: ოლიმპიურმა ჩემპიონებმა ანდრე აგასი, ევგენი კაფელნიკოვმა, ლინდსი დევენპორტმა და ვინუს უილიამსმა მეორე წრეც უხათაბალოდ დაძლიეს. იგივეს თქმა ნამდვილად არ შეიძლება უიმბლდონის შვიდგზის ჩემპიონ პიტ სამპრასზე, რომელსაც წინა დღეს ყველასთვის უცნობ მასპინძელ ბერი კოუენთან შეხვედრა კინალამ ტურნირის მბრძანებლის ტახტის დაკარგვად დაუჯდა.

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

გუშინდელი მატჩების შედეგები იხილეთ მეორე გვერდზე

რამდენი შვილი ჰყავს დიეგო მარადონას?

სწორი პასუხი: დაახლოებით ორიდან ოთხამდე

კოპაინისტ, მაგრამ მაინც გენიალურ ფეხბურთელს თუ შეეკითხებით, უეჭველად მოგიგებთ, ორი ქალიშვილის მამა ვარო. წესით, კაცმა მამას უნდა დაუჯეროს, მაგრამ ეჭვი გვაქვს, რომ ეს ამბავი დედამ, უფრო სწორად კი დედებმა უკეთ უნდა იცოდნენ.

გავიხსენოთ, რომ 6 წლის წინ იტალიელმა ქალბატონმა კრისტიანა სინარამ თავის ბიჭუნას დიეგო დაარქვა და სასამართლოს ძალით იმასაც მიაღწია, პატარა დიეგოსთვის მარადონას გვარი მიეცა, ისიც გვახსენდება, რომ ამ ამბავმა მაშინ დიდი ხმაური გამოიწვია, მაგრამ ეს ნელ-ნელა ხალხმა კი არა, თვით მარადონამაც დაივიწყა და მხოლოდ ალიმენტების გადახდისას ახსენდება.

ახლა კი — არის, მარადონამ მეოთხე შვილი იპოვა! უკაცრავად, ეს ამბავი დიდად არც უნდა გაგვხარებოდა, რაკი არცთუ ბედნიერი მამა იძახის, ჩემი შვილი არ არისო.

გოგონა ახლა 5 წლისაა და მისი მამის ვინაობის დადგენას ბუენოსაირესელი მოსამართლე სწორედ ამდენ წელიწადს ცდილობდა და გუშინ დაამტკიცა კიდეც.

ამ მარადონას არ უყურებ?! ფეხბურთელი ხომ მაგარი იყო, ბავშვების ამბავშიც რა მაგარი ყოფილა.

ბიორგი დარჯანია

ფინეთი

XV ტური

ჰაკა 2:2 ინტერი

ჯაზი 1:3 იუპერიტი

ლაჰტი 1:1 ატლანტასი

ტამპერე 2:1 როვანიემი

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

WOMEN'S CHAMPIONSHIP

B ჯგუფი. II ტური

საფრანგეთი 3:4 დანია

ნორვეგია 1:1 იტალია

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი

FIFA ARGENTINA 2001

მერვედფინალი

უკრაინა 1:2 პარაგვაი

კოსტა რიკა 1:2 ჩეხეთი

ანგოლა 0:2 ჰოლანდია

განა 1:0 ეკვადორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საფრანგეთი — დანია. ფრანგი მარინეტ პიჩონი და დანიელი ჟული ანდერსონი (№7)

ანგოლა — ჰოლანდია. ლუის ვან გაალის გაწვრთნილი ჰოლანდიელი ჭაბუკები მეოთხედფინალში გავიდნენ

უიმბლდონი 2001





REUTERS სიუტლოდან

ლინდსი დევენპორტს ალისია მოლიკის დამარცხება არ გასჭირვებია

მეორე წრე

ვაჟები

ანდრე აგასი (2, აშშ) — ჯეიმი დელგადო (ბრიტანეთი) 6:2, 6:4, 6:3; ტომას ენქვისტი (10, შვედეთი) — სტეფან უე (საფრანგეთი) 6:2, 7:6(7:1), 6:1; ნიკოლა ესკუდე (24, საფრანგეთი) — ლეანდერ პაესი (ინდოეთი) 6:3, 6:4, 6:2; ევგენი კაფელნიკოვი (7, რუსეთი) — არვინდ პარმარი (ბრიტანეთი) 6:7(5:7), 6:3, 6:3, 6:1; სებასტიან გროზანი (9, საფრანგეთი) — რაინერ შუტლერი (გერმანია) 7:5, 6:2, 7:6(8:6); ჯონ ბლეიძი (ზიმბაბვე) — ფელიჭს მანტია (ესპანეთი) 6:1, 6:2, 7:6(7:5); პატრიკ რაფტერი (3, ავსტრალია) — სლავა დოსედელი (ჩეხეთი) 7:5, 4:6, 6:4, 6:1; გილერმო კანასი (არგენტინა) — კენეტ კარლსენი (დანია) 7:5, 4:6, 6:7 (1:7), 7:6 (7:4), 6:4; ჰიშამ არაზი (27, მაროკო) — ოლივიე როშიუ (ბელგია) 7:6 (7:3), 7:6 (7:3), 7:6 (7:3); იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — ანდრეას ვინსიგერა (შვედეთი) 6:1, 6:4, 7:6 (7:4); ფაბრის სანტორო (20, საფრანგეთი) — მაქს მირნი (ბელარუსი) 7:6 (7:4), 6:1, 6:4; მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — ანტონი დიუპუი (საფრანგეთი) 7:6 (9:7), 6:3, 6:2; ლეანდრო ფიუიტი (5, ავსტრალია) — ტეიმურ დენტი (აშშ) 1:6, 7:5, 6:3, 6:7 (2:7), 6:3; ნიკოლას მასიუ (ჩილე) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 6:4, 2:6, 7:6 (7:2), 6:7 (3:7), 6:3; ნიკოლას კიფერი (19, გერმანია) — კრისტიან პლეისი (დანია) 7:6 (7:1), 6:2, 6:4; სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი) — ანდრეი სტოლიაროვი (უკრაინა) 6:3, 7:6 (7:3), 4:6, 3:6, 5:5 — გადაიდო

ქალები

სილვია ფარინა (16, იტალია) — ალექსანდრა სტივენსონი (აშშ) 6:3, 6:2; იროდა ტულიაგანოვა (უზბეკეთი) — ადრიანა სერა-ძანეტი (იტალია) 6:3, 6:7 (6:8), 6:2; ლინდსი დევენპორტი (3, აშშ) — ალისია მოლიკი (ავსტრალია) 6:4, 6:2; ნადია პეტროვა (რუსეთი) — სილვია პლიშკე (ავსტრია) 6:1, 6:0; ჰეგ კლაისტერსი (7, ბელგია) — მორინ დრეიკი (კანადა) 6:3, 6:1; ელენა დოკიჩი (14, იუგოსლავია) — ჯენიფერ ჰოპკინსი (აშშ) 6:2, 6:4; ელენა ლიხოვცევა (29, რუსეთი) — კრისტინა ტორენს-ვალერო (ესპანეთი) 6:1, 6:1; ამპარო კუტაცერი (11, სამხრეთ აფრიკა) — ემილი ლუა (საფრანგეთი) 6:2, 6:3; მეგან შონესი (17, აშშ) — მარტა მარერო (ესპანეთი) 6:0, 7:5; ვენუს უილიამსი (2, აშშ) — დანიელა ჰანტუჩოვა (სლოვაკეთი) 6:3, 6:2; ანხელეს მონტოლიო (27, ესპანეთი) — ანკა ბარნა (გერმანია) 6:3, 6:4; ანჟელი მორესმო (6, საფრანგეთი) — ელენი დანილიდუ (საბერძნეთი) 6:3, 6:2; პატი შნიდერი (30, შვეიცარია) — იანა კანდარი (გერმანია) 6:2, 6:2; ნატალი ტოზია (9, საფრანგეთი) — პეტრა მანდულა (უნგრეთი) 6:0, 6:1; ბარბარა შეტი (21, ავსტრია) — ნატალი დეში (საფრანგეთი) 7:6 (7:5), 6:3; ტამარინე ტანასუგარნი (31, ტაილანდი) — ლუდმილა ჩერვანოვა (სლოვაკეთი) 6:2, 2:6, 6:1

შეკვრფასესმა საქართველო არ გათქვა

იქ, სადაც ღვინო და ტოშაკი უყვართ

თუ რამ კარგი იყო ამ სეზონში, პირველ რიგში ალბათ ის, რომ ქართველ ლეგიონერებს სარბიელი გაუდიდდათ — ჩვენებური ახლა სერია A-შიც გვყავს და ესპანეთის პრიმერადივიზიონშიც. თუმცა, ესპანეთის ჩემპიონატში ქართველს გოლი ჯერ არ გაუტანია, „რეალ სოსიედადის“ ფორვარდმა გიორგი დემეტრაძემ ეს მომავალი სეზონისთვის გადადო და გასამართლებელი საბუთიც აქვს — მუხლის ტრავმის გამო სულ ოთხჯერ მოირგო „სოსიედადის“ მაისურა და ისიც შეცვლებზე.

ერთ დროს თბილისის „დინამოსა“ და ვლადიკავკაზის „ალანიას“ ფორვარდს ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი. კიევის „დინამოში“ მან ჩვეულად ვეღარ გაიბრწყინა, მხოლოდ რამდენიმე მატჩში წაუვიდა საფირმო ფანტები, ჩემპიონთა ლიგაში გოლები კი გაიტანა, მაგრამ მთლად ბომბარდირული თვისებები ვერ წარმოაჩინა. თუმცა შესაძლებლობების რეზერვი დემეტრაძის თამაშში ნაღდად გამოსჭვიოდა და უკვე ელიტარული ჩემპიონატი, ესპანეთის პრიმერადივიზიონი — ახალი ასპარეზი სწრაფი, პლასტიკური და დრიბლიორი გიორგი დემეტრაძისთვის.

— ესპანეთის ჩემპიონატში თამაში ერთია, მაგრამ მაინც: გაწბილებული არ დარჩი, რომ კიევის „დინამოში“ შენი სიტყვა ბოლომდე ვერ თქვი?

— კიევის „დინამოში“ კიდევ რომ დავრჩენილიყავი, შეიძლება სხვაგვარად ყოფილიყო, მაგრამ იმ კონკრეტულ ეტაპზე ესპანეთში გადასვლა ვამჯობინე. კიევის „დინამო“ ძალიან თავისებური გუნდია, იქ ან უცბად გაიხსნები, ან მერე და მერე. ბოლო დროს ვგრძნობდი, რომ გუნდში, ასე ვთქვათ, ვჯდებოდი და ვერგებოდი მას, მაგრამ „სოსიედადიდან“ მოწვევა მოვიდა და გადავწყვიტე. წავსულიყავი. ისე, ცოტა გულდაწყვეტილი მართლაც ვარ, კიევის „დინამოში“ ისე ვერ გამოჩნდი, როგორც მინდოდა.

— ეს ალბათ იმანაც განაპირობა, რომ „ალანიადან“ ლობანოვსკის „დინამოში“ ადაპტირება რთულია. არადა, ოსურ გუნდში გადასვლამდე „ფეიენოორდში“ თამაშობდი. არ ჯობდა, ისევ რომელიმე ევროპულ კლუბში გაგეგრძელებინა კარიერა, ვიდრე ვლადიკავკაზის „ალანიაში“?

— „ფეიენოორდში“ ნახევარი სეზონით იყარის წესით ვიყავი განათხოვრებული და ვთვლი, რომ ურიგოდ არ მითამაშია. მიწვევებიც მქონდა ჰოლანდიური და ბელგიური კლუბებიდან, მაგრამ როცა არდადეგებზე შინ დავბრუნდი, ვლადიმერ გუცაევმა და ვალერი გაზაევმა მირჩიეს, „ალანია“ უკეთესი ვარიანტიაო. თანაც მიმაჩნია, რომ რუსეთის ჩემპიონატი ჰოლანდიურს არ ჩამოუვარდება, ბელგიისას კი სჯობია.

— ესპანეთში, სან სებასტიანში როგორ მოეწყვე?

— ძალიან კარგად. ოთხოთახიან ბინაში ვცხოვრობ, ზღვიდან ას მეტრში. კლუბმა ავტომანქანა „როვერიც“ გამომიყო. ცხრა საათზე ვიღვიძებ, ვსაუზმობ და ათ საათზე უკვე გუნდის ბაზაზე ვარ. შინ ვსადილობ, რადგან სოსიედადის ბაზაზე, როგორც ჩვენთან და რუსეთ-უკრაინაში, სამზარეულო და ფეხბურთელთა საძინებლები არ არის.

— კი მაგრამ, თამაშის წინა დღეს მაინც ფეხბურთელები შეკრებაზე ერთად არ ხართ?

— წინა ან თამაშის დღეს სასტუმროში ვიკრიბებით.

— გუნდში ალბათ ჯერ ყოფილ საბჭოელებს დაუმეგობრდი.

— ჰო, ასეა. საღამოობით მე, ხოსლოვი და იანკაუსკასი სადმე გავივლით ხოლმე. ისინი კარგი ფეხბურთელებიც არიან და კარგი ადამიანებიც. სან სებასტიანი პატარა, ლამაზი ქალაქია, ზაფხულობით ბევრი ტურისტიც ჩამოდის, წასასვლელი და გასართობიც ბევრია.

— ბასკებზე რას გვეტყოდი, გვგვანან ქართველებს?

— შეიძლება ითქვას, რომ გვგვანან. მათი ენაც ჩამოჰგავს ქართულს. ბასკებიც ძალიან სტუმართმოყვარენი არიან. ბასკს რომ უთხრა ესპანელი ხარო, ეწყინება. ჩვენ თუ ესპანელებს გვიწოდებ, მაშინ შენ რუსად შეგრაცხავთო — მითხრეს ბასკმა თანაგუნდელებმა.

— იმ ოთხი ბასკური გუნდიდან, პრიმერადივიზიონში რომ თამაშობენ, ყველაზე პოპულარული რომელია?

— „ბილბაო“ და „სოსიედადი“, „ალავესის“ ასეთ აღზევებას კი მართლა არ ელოდნენ, წლეულს ამ გუნდმა ყველა გააკვირვა.

— „სოსიედადმა“ კი მხოლოდ ის შეძლო, რომ პრიმერადივიზიონიდან გავარდნას გადაურჩა. თქვენი გუნდის პოტენციალ მეტის საშუალებას არ იძლევა?

— გუნდი კარგადაა დაკომპლექტებული, მაგრამ ვერა და ვერ ამოისუნთქა. მომავალ სეზონში კი ალბათ ჩვენც მივაღწევთ კარგ შედეგს.

— გასულ სეზონში თავის გამოჩენა არ დაგცალდა. ისე კი, ალბათ, თავდასხმის ხაზშიც კონკურენცია იქნება. შენი „სოსიედადში“ მისვლისას ვინ ითვლებოდა გუნდის ნომერ პირველ ფორვარდად?

— ასეთი გამორჩეული არავინ ყოფილა. კლუბის ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელი კი მე ვარ.

— ჯონ ტოშაკზე რას იტყოდი, როგორი კაცია?

— ნორმალური ურთიერთობა მაქვს. მას „სოსიედადშიც“ მაგარი მწვრთნელის იმიჯი აქვს. გულშემატკივარს ის უყვარს და სამომავლოდაც მისი იმედი აქვთ. პრიმერადივიზიონიდან გავარდნას ხომ მან გადაარჩინა გუნდი.

— „სოსიედადის“ გულშემატკივარი მკაცრი და მომთხოვნია?

— სტადიონი თითქმის ყოველთვის სავსეა. „სოსიედადის“ გულშემატკივრები პრეტენზიულები არ არიან, მაგრამ ეგ კია, რომ მარცხს ძალიან განიცდიან.

— გამარჯვებას კი ქომაგები და ფეხბურთელებიც ღვინით აღნიშნავენ...

— ეგრეა, ღვინო უყვართ, თამაშის შემდეგაც ღვინოს მიირთმევენ. სადილზეც ღვინოს აყოლებენ. მე დიდი მსმელი არ ვარ, თუმც იქაურ ღვინოს გემო კი გავუსინჯე.

— მომდევნო სეზონში შენს პერსპექტივას როგორ უყურებ? გიორგი დემეტრაძისგან ქართველი გულშემატკივარიც უფრო მეტს ელის, ალბათ, ტრავმაც ბოლომდე მოიშუშე და...

— ჯანმრთელობამ მართლაც არ შემიწყო ხელი. ჯერ ოპერაცია შემექნა გასაკეთებელი, ამას აღდგენითი პროცესი მოჰყვა, გამოვჯანმრთელდი და მერე სითხე ჩამიდგა ნაოპერაციევ მუხლში. ახლა თავს კარგად ვგრძნობ, ვისვენებ. 16 ივლისიდან კი შეკრება დაგვეწყება, თურქეთში ვაპირებთ მოსამზადებელი ეტაპის გავლას.

ვგრძნობ, რომ თბილისის „დინამოდან“ წამოსვლის შემდეგ დიდად მოვუმატე და ესპანეთის ჩემპიონატში თავის გამოჩენა შემიძლია. კაი ჯანზე ვიყავი „ალანიაში“ ყოფნისას, კიევის „დინამოშიც“ იყო მომენტები, როცა მაგარ ფორმაში ვიყავი. ახლა კი იმედია, მოსამზადებელი ეტაპის გავლის შემდეგაც სასურველ ფორმაში ვიქნები — კარგად ვითამაშებ, ვეცდები, ბევრი გოლი გავიტანო. ესპანურ ენასაც ვეუფლები, კვირაში სამჯერ ორ საათს ვმეცადინეობ.

— ნაკრების თემას გვერდს ვერ ავუვლით. სოსიედადელ თანაგუნდელებს ჩვენს ნაკრებზე არაფერი უთქვამთ?

— იტალიასთან რომ წავაგეთ, არაფერი, იტალია ხომ მაინც იტალიაა, მაგრამ უნგრეთთან ასეთი მარცხი კი გაუკვირდათ. ვუთხარი, უბრალოდ, თამაში არ წაგვივიდა-მეთქი. აბა, რაც გუნდში ხდებოდა, იმას ხომ არ ვეტყოდი.

— ითქვა, ნაკრების წევრთა ეს თაობა ვერაფერს მიაღწევსო...

— ეს თითოეული ფეხბურთელის და საერთოდ თაობის შეურაცხყოფაა. თუ ასეა, მაშინ თავიდანვე ეთქვათ, ამ ფეხბურთელებს არაფერი შეუძლიათ, მომავალ თაობას დაველოდოთო. თანაც რა გამოდის — „მილანი“, „აიაქსი“, „ფრაიბურგი“ და სხვა მოწინავე საფეხბურთო ქვეყნების კლუბები სულელები არიან, ქართველ ფეხბურთელებში ფულს რომ იხდიან?

— შენ თავიდან გენდობოდნენ ნაკრების მწვრთნელები, ლიტვის წინააღმდეგ სასტარტო შემადგენლობაში დაგაყენეს, მერე კი...

— მერე გამარჯვებული გუნდის შემადგენლობა შეცვალეს, შეცვლაზე მათამაშეს.

— როცა თბილისის „დინამოში“ თამაშობდი, დავით ყიფიანს ხშირად შეცვლაზე შეყავდი და ამბობდა, დემეტრაძე კარგად ერთვება თამაშში, ამწვავებს ვითარებას და მისი შეცვლაზე შეყვანა ტაქტიკა არისო. როგორ მიგაჩნია, როცა შეცვლაზე შედიხარ, უფრო ეფექტურია ეს გუნდისთვის?

— რა თქმა უნდა, მირჩევნია, თავიდანვე ვიყო შემადგენლობაში. ყიფიანის ამ შეხედულებას არც მაშინ ვეთანხმებოდი. უბრალოდ, „დინამოს“ ძირითადში რომ არ მაყენებდნენ, რაიმეთი ხომ უნდა აეხსნათ.

— როგორც გგონია, ვინ უშველის ჩვენს ნაკრებს?

— აბა, როგორ გითხრათ. არ მინდა დავიჯერო, რომ კარგი მწვრთნელობა ქართველებს არ შეუძლიათ. უცხოელი მოვა და გავფრინდებითო — არც მთლად ასე უნდა იყოს საქმე.

— ნაკრებში შენს მეწყვილედ თავდასხმაში ყველაზე უფრო ვის ისურვებდი?

— იაშვილს.

— ის ბოლო დროს თავდასხმელების უკან თამაშობს...

— მერე რა, როგორმე შევეწყობით.

დავით თავართქილაძე



გიორგი დემეტრაძემ ესპანეთში ხელ-ფეხი ჯერ ვერ გაშალა

ქახა მჟავანაძე რომანცევს აკვირდება

მთლად ხუსტი არ გამოდგა მოსკოვის „სპარტაკის“ ტექნიკური დირექტორის ალექსანდრ შიკუნოვის მიერ გუშინწინ, გვიან ღამით გავრცელებული ინფორმაცია, ბათუმელმა კახა მჟავანაძემ რუსეთის ჩემპიონთან საშწლიანი კონტრაქტი გააფორმაო. შიკუნოვმა, ეტყობა, მოვლენებს დაასწრო, ორიოდ დღით ადრე „გაახმოვანა“ ის, რაც იცის, რომ მოხდება.

— უკვე ორი კვირაა, ტარასოვკაში, „სპარტაკის“ ძირითად გუნდთან ერთად ვვარჯიშობ — გვითხრა კახა მჟავანაძემ გუშინ, როცა მოსკოვში შევეხმიანეთ — კლუბთან ჯერ კონტრაქტი არ გამიფორმებია, მაგრამ დარწმუნებული ვარ, „სპარტაკში“ დავრჩები. კონტრაქტს კი, ალბათ, ამ უქმეებზე მოვაწერ ხელს. შიკუნოვს ორიოდ დღის წინ შევხვდი და მანვე მითხრა, ხელმოსაწერად შაბათ-კვირას დავსხდეთო. პირობებზე ლაპარაკი აღარ არის, ყველაფერი შეთანხმებულია. იმ ვარიანტს გამოვრიცხავ, რომ „სპარტაკმა“ დამიწუნოს და უკან გამბრუნოს. ვიცი, რომანცევი ჩემი ვარჯიშითა და მომზადების დონით კმაყოფილია. პირადად მას ჯერ არ შევხვედრივარ, მწვრთნელს მხოლოდ ვარჯიშებისას ვხედავ, თუმც რომანცევის თანაშემწე გროზნის ლამის ყოველდღე ვესაუბრები და ისიც სათქმელს პირდაპირ მეუბნება. ერთი სიტყვით, „სპარტაკის“ ხელმძღვანელებს დღესდღეობით ჩემზე საკმაოდ კარგი წარმოდგენა აქვთ და ვეცდები, არც მომავალში მივცე მათ უკმაყოფილების საბაბი...

ჩვენ კი შეგახსენებთ, რომ კახა მჟავანაძე 22 წლისაა, იგი ჯერ ქობულეთის „შუქურაში“ თამაშობდა, გასული სეზონიდან კი "ბათუმში" გადავიდა და მთელი ჩემპიონატის განმავლობაში გუნდში ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

ძოგა ინასარიძე

ბაბილინა ბერიძის ფოტო

კახა მჟავანაძე

კვიცოზიდან რაშოზამდე

ავჭალელები ახალ სეზონს გაახალგაზრდავებული დაიწყებენ

ნუგზარ ბარდანიძის ფოტო

„მერანის“ პრეზიდენტი დავით ფურცელაძე და მწვრთნელი ოთარ გაბელია

ოთარ გაბელიამ „მერანი“ რომ ჩაიბარა, მაშინ კლუბის თავკაცები ექვსეულში მოხვედრას ითხოვდნენ. გაძვრა „მერანი“ საჩემპიონო ექვსეულში, მერე თავისთვისაც იბრძოდა, მაგრამ...

...დასრულდა არდადაგები. ავჭალელთა თავკაცი ისევ ოთარ გაბელია გახლავთ, ხოლო კლუბის ხელმძღვანელები ისევ ექვსეულში მოხვედრას ითხოვენ. მერე კი... ნათქვამია, მადა ჭამაში მოდისო.

მიზანი ძველია, გუნდი კი ახალი იქნება. დღეს „მერანს“ გეზი გაახალგაზრდავებისკენ აუღია. ოთარ გაბელიამაც კვიცისგან ცხენი უნდა გამოზარდოს.

ავჭალელები საკუთარ „სინათლეზე“ ვარჯიშობენ. გუშინ მორიგი, ჩვეულებრივი საწვრთნელი დღე იყო. მინდორზე ფეხბურთელებს გაბელიას თანაშემწე დავით ჯიშკარიანი მეთვალყურეობდა. მთავარი მწვრთნელი კი ახალი, სასურველი მოთამაშეების შერჩევით იყო დაკავებული.

ბლომად ირბინეს ავჭალელებმა. ბურთით თუ უბურთოდ ოფლი იდინეს, მერე წყალი გადაივლეს, გაბელიასგან რაღაც მითითებები მიიღეს და მომავალ ვარჯიშამდე მშვიდობა დაიბარეს.

გუნდთან ერთად არ უვარჯიშიათ მეკარე აკაკი დევაძეს და ფორვარდ მამუკა მინაშვილს. ჩათვალეთ, ორივე ყოფილი მერანელია. კაკო რუსეთისკენ ეშურება, ხოლო მამუკამ ჯერ არ იცის, საით წავა.

„სინათლეზე“ გუშინ თვალს ვერ მოჰკრავდით შალვა ხუჯაძეს, გიორგი დავითნიძეს, გია ჩხაიძეს, დავით გოდერძიშვილს, ლევან თოლორდავასა და მიხეილ ხუციშვილს. კლუბის თავკაცობამ ესენიც „მერანის“ ყოფილ მოთამაშეებად გამოაცხადა.

გიორგი დავითნიძე „ლოკომოტივში“ ვარჯიშობს. რკინიგზელებმავე დაიბრუნეს განათხოვრებული თავდამსხმელი დავით გოდერძიშვილი. მიხეილ ხუციშვილი „დინამოს“ გაჰყვა ბაკურიანში. შალვა ხუჯაძის, გია ჩქაიძისა და ლევან თოლორდავას გზა-კვალი უცნობია.

გუშინ „მერანთან“ ერთად ივარჯიშა აწ უკვე ყოფილმა ავჭალელმა გოჩა გუჯაბიძემ. მისი სამომავლო კარიერის შესახებ ჯერ არაფერია ცნობილი.

წამსვლელებზე მოგახსენეთ და ახალწვეულებზეც ვთქვათ. მეცამეტე ჩემპიონატიდან ავჭალელები უნდა გახდნენ გორელი გიორგი რევაზიშვილი, ლიგიდან გავარდნილი სამტრედიის „იბერიადან“ წამოსულები — ვალერი გაგუა და გია ხიზანიშვილი. „თბილისის“ ირაკლი შენგელია და ფარმ-კლუბის ახალგაზრდა მოთამაშეები: ჩხაიძე, მელაძე, ბერდენაშვილი და მინჯია.

„მერანთან“ ერთად ივარჯიშა ოთარ გაბელიას ვაუმა გიორგიმ, რომელსაც თითქმის სეზონნახევარი არსად უთამაშია.

ცალკე უნდა ვთქვათ „მერანის“ ტრავმირებულ მიხეილ ფოცხვერიაზე. მიშა ოპერაციის შემდეგ მოღონიერებულა, ნელ-ნელა ძუნძულიც დაუწყია, მაგრამ კლუბის თავკაცები საბოლოოდ გამოჯანმრთელებამდე გერმანიაში უპირებენ გაგზავნას. ფოცხვერიამ იქ აღდგენითი პროცესი უნდა გაიაროს და „მერანსვე“ დაუბრუნდეს. გაბელიას იმედი აქვს, რომ ფოცხვერია პირველ წრეშივე დაეხმარება.

გუშინ კი, ავჭალაში სხვებთან ერთად იმ ათმა მერანელმაც ივარჯიშა, რომლებიც წინა ჩემპიონატშიც „მერანის“ მოთამაშეები იყვნენ. ნაჭყეპია, ბაჯელიძე, ცქიფურიშვილი, ჭინჭარაული, გიორგი ილურიძე, ბოლქვაძე, კოშკაძე, გოგიტაძე, ზაზა კვეკვესკირი და კრავეიშვილი.

გაბელია დღე-დღეზე ელის უკრაინიდან ანდრეი მუხინს, რომელსაც შვებულება რატომღაც ძალიან გაუგრძელდა. თუმც არც იმას გამოვრიცხავთ, მუხინი სულაც არ ჩამოვიდეს.

რაც შეეხება „ლოკომოტივში“ მოვარჯიშე სოსო დევიძეს, „მერანის“ თავკაცთა მტკიცებით, იგი გუნდში დაბრუნდება.

ასეთი იყო ერთი ჩვეულებრივი დღე „მერანისთვის“. გუშინ მხოლოდ ერთხელ ივარჯიშეს გაბელიას შეგირდებმა. წვრთნა რასაც ჰქვია, ივლისიდან იწყება, მაშინ, როცა „მერანი“ სრულად დაკომპლექტდება და ბორჯომში შეკრებაზე წავა. იქიდან მობრუნებული ავჭალელები ერთი კვირით ზღვისპირეთში აპირებენ გამგზავრებას. ალბათ, ყვავილნარში წავალთო, თქვა გაბელიამ. იქიდანვე ეწვევიან ლანჩხუთს, სადაც უმაღლესში მობრუნებული „გურრია“ მეცამეტე ჩემპიონატის პირველ ტურში „მერანს“ ეთამაშება.

გამუკა კვანტალიანი

ბაბრი ჯიელაძის ფოტო

მიხეილ ფოცხვერია მერანელი იქნებაო...

არც რობსონი, არც შმაიხელი

კოპენჰაგენმა ბუტია კარლსონი დაიბრუნა



„კოპენჰაგენმა“ ისევ კენტ კარლსონს უხმო

ქუთაისის „ტორპედომ“ ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ჩრდილოირლანდიური „ლინფილდის“ ბარიერი თუ დაძლია, მისი შემდგომი მეტოქე დანიური „კოპენჰაგენი“ იქნება. ამ კლუბში კი გუშინ ახალი მწვრთნელი დაინიშნა.

ჯერ კიდევ წინა კვირას, როცა წილისყრა გაიმართა და ქუთაისელთა მომავალი მეტოქის ვინაობა გაირკვა, „კოპენჰაგენს“ ბრიტანელი როი ჰოჯსონი ედგა სათავეში, თუმცა 54 წლის მწვრთნელმა რამდენიმე დღის წინ დანიელებთან კონტრაქტი შეწყვიტა და იტალიურ „უდინეზესთან“ გააფორმა ორწლიანი შეთანხმება.

კოპენჰაგენელებს ჰოჯსონის ნაცვლად ინგლისური „მიდლსბროდან“ წამოსული ბრაიან რობსონისა და დანიის ნაკრების ყოფილი მეკარის პიტერ შმაიხელის თავისთან ხილვა სურდათ, მაგრამ გუნდი სულ სხვას, შვედ კენტ კარლსონს ჩააბარეს. 57 წლის კარლსონი „კოპენჰაგენის“ ძველი ნაცნობია. იგი დანიელებს აღრეც წვრთნიდა და კლუბის ხელმძღვანელებთან უთანხმოების გამო 1998 წელს თანამდებობიდან გადადგა.

ახლა კი „კოპენჰაგენთან“ ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი და „ტორპედოსგან“ „ლინფილდის“ ძლევის შემთხვევაში ქუთაისში მოუწევს ჩამოსვლა.

ნიკა შუბლაძე

ყველაფერი
გაზეთი
სარბიელი
თავის ფასში
ტელეფონით!

ბილეთი ჯიტალით 1 [illegible] 2 თვით,
3 თვით, 6 [illegible] [illegible].

98-89-09, 26-10-80, (899) 55-[illegible]-97
ფოსტის ყუთები და
დამონტაჟება უფასოა!
„პრეს-მობილი“

ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატი
1/8 ფინალი

ბრაზილიური კაკა ავსტრალიელებს ემწარათ

REUTERS ბუენოს აირესიდან

არგენტინა — ჩინეთი. მასპინძელი ხერარდო სელცერი და ჩინელი იუ მა

ის მოთამაშეები, რომელთა გუნდებმაც ჩემპიონატში მონაწილეობა დაასრულეს, ჭაბუკურად ერთობიან... ეთიოპელი ყმაწვილები — სოლომონ გუტაჩი, ქემალ ხურენი და აბუბაქარ ისმაელი მშობლიური მინის ყივილს აღარ შეუნუხებია და არგენტინაში დარჩენა გადაუწყვეტიათ, თუმც ჯერჯერობით მათ კვალს ვერც პოლიციამ მიაგნო — ბოლოს ისინი დისკო კლუბში უნახავთ. ეთიოპელები მათი გადაწყვეტილებით აღშფოთებულნი არიან.

ჩემპიონატი კი გრძელდება...

აშშ 0:2 ეგვიპტე

0:1 რეიადი (76ბ), 0:2 ელ იამანი (88)

აშშ: კუნტესი, ონიეუ, აკვარი, იი, გრეი, ბესალი, დონოვანი, კონვი (ბ. დეგისი 46), ლუისი (სალიერი 90), ჯეროლი, ჯეისი (ესკანდარიანი 77)

მწვრთნელი: ვოლფგანგ სუნბოლეი

ეგვიპტე: სობეი, აბუ ელ მაგდი, მაჰმუდი, ელ ატრავი, შავკი, რეიადი (ამირი 90), შეჰატა (აბდელვაჰეფი 74), ელ იამანი (გერიშა 90), ჯალი, აბუ მუსლიმი, ჰამზა

მწვრთნელი: შავკი ჯარიბი

გაფრთხილება: რეიადი, გრეი, კუნტესი, ჯალი, ჯეისი, აბუ ელ მაგდი, გრეი, იი

გაძევება: გრეი (84)

მაყურებელი: სორინ კორპოდინი (რუმინეთი)

10 000 მაყურებელი

მატჩის ორივე მონაწილემ შესაძლებლობების მაქსიმუმი შეალია ჯგუფურ ეტაპს.

მერვედფინალურ მატჩში ამერიკელებმა პირველი ტაიმში ერთგვარი წინააღმდეგობა გაუწიეს მეტოქეს, მაგრამ აფრიკელთა ოსტატობამ თავისი გაიტანა. ორივე ბურთი თამაშის ბოლო თხუთმეტ წუთში გავიდა, თანაც პირველი — პენალტით. თუმც ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ ეგვიპტელმა ჯამალ ჰამზამ ერთი პენალტიც გააფუჭა. ჩემპიონატზე მას თერთმეტმეტრიანი დარტყმებისას უკვე მეორედ მოეცარა ხელი. ისე ჩანდა, თითქოს ეგვიპტელთა თავკაცებს დფიციებული ჰქონდათ — პენალტის დარტყმას ჯამალის გარდა არავის ვანდობთო, მაგრამ როდესაც მეოთხედფინალში გასვლის კიდევ ერთი რეალური შანსი მიეცათ — ისევ პენალტით, ამჯერად შეცბუნებული ჯამალი მოედნის მეორე ნახევარზე აღარ გადაუშვეს და ვაელ რეიადს ანდეს ამ საპატიო მისიის შესრულება.

არგენტინა 2:1 ჩინეთი

1:0 როდრიგესი (4), 1:1 ბო კუ (55), 2:1 დომინგესი (79)

არგენტინა: ლუჭი, ბურდისო, ნ. შედინა, კოლმენინო, ე. ერერა (დომინგესი 63), სელცერი (დალესანდრო 71), კოლოტო, ბონციო, რომანიოლი (ახუმადა 83), საგო�ა, როდრიგესი

მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი

ჩინეთი: კი ანი, ოუ ბი (ფენ. ლუ 87), ვუ დუ ლინ ფუ ზენგ ვანგ, ფოინ ბუ ბინგ ბაო, სონგ ინი, ჩენინ ვანგი (ქიანგ სუნი 86), იაკენ ფანი, ტაო ოუ (ლო კუ 54)

მწვრთნელი: შენ შიანგფუ

მსაჯი: ტომას მაკკარი (შოტლანდია)

32 000 მაყურებელი

აქ მეტად დაძაბული ბრძოლა იყო მოსალოდნელი. გარდა იმისა, რომ პლეი ოფი თავისთავად ყოველთვის შეუპოვრობით გამოირჩევა, ამ შეხვედრას სიმწვავეს მატებდა ისიც, რომ გუნდებმა ფაქტობრივად არ, თუ ვერ, მოახერხეს ჯგუფურ ეტაპზე ძალების დაზოგვა.

არგენტინელებმა დიდი ანგარიშით მოგებათა კასკადი შემოგვთავაზეს. მათი მწვრთნელი ინტერვიუებში ბრაზილიელთა თამაშისადმი მიდგომას აკრიტიკებდა და აცხადებდა, რომ მისი გუნდი ყოველი შეხვედრისთვის სერიოზულად იყო განწყობილი, რაც მეოთხედფინალურმა მატჩმაც დაადასტურა.

რაც შეეხება ჩინელებს, მათ არანაკლები ძალები შეალიეს მერვედფინალში გასვლას, რაც არგენტინელებთან მატჩისას კარგად გამოჩნდა.

მასპინძლებმა შეხვედრის დასაწყისშივე გახსნეს ანგარიში და მერეც აურაცხელი მომენტი შექმნეს, თუმც გოლად ერთიც ვერ აქციეს. არგენტინელებმა ჩინელებს ფაქტობრივად ბურთი დაუმალეს.

REUTERS კორდობადან

ბრაზილიელი ლუიზაო ავსტრალიელ ნიკოლას კარლეს დასცქერის

მეორე ტაიმში ჩინელთა მწვრთნელმა მეტად ჭკვიანური შეცვლა გააკეთა — ბო კუ შეუშვა, რომელმაც გუნდის მოქმედება გამოაცოცხლა და ანგარიშიც გაათანაბრა.

თუმცალა, არგენტინელებმა მაინც მოახერხეს გამარჯვება. უნდა ითქვას, რომ ეს შედეგი კანონზომიერი გახლდათ, რადგანაც ის რომ, მატჩი დიდი ანგარიშით არ დასრულდა, ჩინელთა საოცარ გამართლებას უნდა მივაწეროთ.

საფრანგეთი 3:2 გერმანია

0:1 აუერი (19), 1:1 სისე (34პ), 2:1 მენდი (41), 2:2 ბურხარდტი (78), 3:2 სისე (90)

საფრანგეთი: ბენატო, დელპიერი, ვინალი, გივუ, მეშე, შეირუ, ფაბიანო, ჯ. სისე, დანიკი (რუდე 64), მენდი, ბუნე (ანამადი 60)

მწვრთნელი: რაბონ დომენეკი

გერმანია: შტარკე, ბროისი, ლაპაჩინსკი, ცეტკი, გეოტი (ბურხარდტი 49), ბალტჩი, აუერი (იუნგნიკელი 92), ტებერი (ჯ. ჯონსი 71), მიკოლაიჩაკი, ტაიფერტი, კლინგი

მწვრთნელი: ული შტილიკე

გაფრთხილება: ბუნე, შეირუ, გივუ, ბროისი, შტარკე, მიკოლაიჩაკი, ლაპაჩინსკი, ჯონსი

გაძევება: ტაიფერტი (94)

მსაჯი: აუგუსტინ არეოს ალვარადო (ჩილე)

25 000 მაყურებელი

საფრანგეთისა და გერმანიის დაპირისპირებისას პროგნოზი აშკარად ფრანგების სასარგებლოდ კეთდებოდა, რადგანაც ჯგუფურ ეტაპზე დარჩა შთაბეჭდილება, რომ ფრანგები ძალებს ზოგავდნენ.

რაც შეეხება გერმანიას, ჯგუფში ბრაზილიელებთან თამაშისას, შეიძლება ითქვას, ფეხი არ გაუნძრევიათ. ამ ფაქტმა მათთვის მეტად არასასურველი რეზონანსი გამოიწვია. შესაძლოა, გვეფიქრა, რომ ამგვარი სვლა გერმანელთა ტაქტიკური მონახაზის შემადგენელი ნაწილი იყო, მაგრამ საფრანგეთთან მატჩმა დაგვანახა, რომ გერმანიის გუნდმა თავისი მაქსიმუმი გააკეთა.

მატჩი დაძაბულად წარიმართა, თუმცაღა ორივე მეტოქე დასაწყისში ფრთხილობდა. შეხვედრის გმირად ფრანგი ჯიბრაელ სისე იქცა, რომელმაც პირველ ტაიმში ჯერ გაათანაბრა ანგარიში, ხოლო შემდგომ, თამაშის უკანასკნელ წუთზე გადამწყვეტი გოლი გაიტანა, რომელმაც საფრანგეთი მეოთხედფინალში გაიყვანა. აღსანიშნავია, რომ ეს გოლი ჩემპიონატზე ჯიბრაელ სისესთვის მეშვიდეა. ამდენად, ფრანგი ბომბარდირთა დავაში დაწინაურდა.

ბრაზილია 4:0 ავსტრალია

1:0 ადრიანო (27), 2:0 კაკა (53), 3:0 ადრიანო (66), 4:0 ედუარდო (74)

ბრაზილია: რუბინიო, მაიკონი, ედუ დრაჩენა, მარკინოსი (ფულიო სანტოსი 85), უდუარდო, ბინგა, ფერნანდო, ადრიანო, რობერტო (ოლივეირა 76), ლუიზაო, კაკა (ფულიო ბაპტისტა 78)

მწვრთნელი: კარლოს რომოსი

ავსტრალია: კიდუელ-ვანსტრატანი, ბირნსი, ბადსკი, კისნორმო (ბაკკეინი 82), სროი, ელრიხი, კენედი (ოუენსი 58), კარლე (ბულესერიანი 61), ედსი, უილკშირი, ვასილევსკი

მწვრთნელი: ანჯე პოსტეკოღლუ

გაფრთხილება: უილკშირი, რობერტი, ვასილევსკი, მარკინოსი, სროი, ბინგა

მსაჯი: ტორუ კამიკავა (იაპონია)

7 896 მაყურებელი

მატჩს გუნდები განსხვავებული კონდიციებით შეხვდნენ. ავსტრალიელებმა ბოლო ტურში ანგოლასთან ფრე გაახერხეს და ეს სწორედ ის სანუკვარი ქულა გახლდათ, რომელმაც ისინი მერვედფინალში გაიყვანა.

გამარჯვების ბრაზილიური მანერის შესახებ ჩვენ უკვე ვწერდით. სამხრეთ ამერიკელებმა სამივე მატჩისას ერთი ტაიმი ითამაშეს სრული დატვირთვით, ხოლო მეორეში ფაქტობრივად საქმე არ ჰქონდათ. ასე რომ, ავსტრალიას ძალების მთელი დაძაბვა მოუხდა, რათა ბრაზილიასთან შეხვედრის უფლება მოეპოვებინა.

ავსტრალიასთან კი ბრაზილიამ დამტკიცა, რომ მეორე ტაიმშიც შესძლებია თამაში — პირველი ნახევარი მინიმალური ანგარიშით მოიგო, მეორეში კი მათ ოცწუთიან აფეთქებას სამი გოლი მოჰყვა.

ამჯერად ბრაზილიელთა მეგოლე რობერტს (6 გოლი) არაფრით გამოუჩენია თავი, რითაც მას კვალში ჩაუდგა მეორე ბრაზილიელი თავდამსხმელი ადრიანე, რომელმაც ადრე გატანილ სამ გოლს ამჯერად ორიც დაუმატა.

გამუცა ნაცვალაძე

ფეხბურთის რუკიდან

ფრანგმა თავდამსხმელმა ლილიან ლასლანდმა „ბორდო“ დატოვა და კარიერას „სანდერლენდში“ გაგრძელებს. ინგლისური სააგენტოების ცნობით, პრემიერლიგურმა კლუბმა მის სანაცვლოდ 3,6 მილიონი გირვანქა გადაიხადა. ლასლანდი საფრანგეთის ნაკრებში შვიდჯერ მიიწვიეს და სამი გოლი გაიტანა. „ბორდოში“ ჩატარებულ 277 მატჩში კი 104 გოლი დააგროვა. 29 წლის ფეხბურთელმა „სანდერლენდთან“ 2005 წლამდე გააფორმა კონტრაქტი. „ინგლისში ჩინებულ გუნდში და მომიწევს თამაში. პრემიერლიგა ყოველთვის მიზიდავდა და ახალმა კონტრაქტმა ძალიან გამახარა“ — განაცხადა ლასლანდმა.

იტალიის სერია A-ში გადასულმა „პიაჩენცამ“ „პარმას“ მეორე მეკარე მატეო გუარდალბენი გადაიბირა. იგი „პარმაში“ ჯანლუიჯი ბუფონის ყოფნის გამო ძირითად შემადგენლობაში თითქმის ვერ ხვდებოდა და კლასით დაბალ კლუბში გადასვლა თავად არჩია, სადაც ალბათ, გარანტირებული ექნება ძირითად შემადგენლობაში ადგილი, რადგან „პიაჩენცას“ კარის დარაჯი ფლავიო რომა „მონაკოში“ წავიდა. 24 წლის გუარდალბენი კი კლუბის მეორე ახალწვეულია. „პიაჩენცამ“ ცოტა ხნის წინ „რომადან“ ეუსებიო დი ფრანჩესკო შეიძინა.

ჰოლანდიელი თავდამსხმელი ხორდი კრუიფის შეძენის სურვილი „ტოტენჰემმა“ გამოთქვა და თანახმაა, „ალავესს“ მის სანაცვლოდ 3 მილიონი გირვანქა გადაუხადოს. ასევე გავრცელდა ცნობა, რომ იოჰან კრუიფის ვაუს თავისთან „პარი სენ ჟერმენის“ თავკაცი ლუის ფერნანდესიც ეპატიჟება. შეგახსენებთ, რომ ხორდი ვიგოს „სელტაში“, „ბარსელონასა“ და „მანჩესტერ იუნაიტედში“ თამაშობდა.

იტალიურ კლუბებს „ინტერსა“ და „ტორინოს“ შორის მოლაპარაკებით გადაწყდა, რომ მარკო ფერანტე „ტორინოში“ დაბრუნდება. ეს ფეხბურთელი მილანურ გუნდში იჯარით თამაშობდა, თუმცა „ინტერის“ ახალმა მწვრთნელმა ექტორ რაულ კუპერმა მისი დატოვება აღარ ისურვა. თანაც „ტორინო“ ფერანტეს სანაცვლოდ უკვე სატრანსფერო თანხას, 9 მილიონ დოლარს ითხოვდა. იტალიური სააგენტოები ვარაუდობენ, რომ ფერანტე არც „ტორინოში“ დარჩება დიდხანს და რომელიმე სხვა კლუბში გადავა.

რუსულმა ნოვოროსიისკის „ჩერონომორეცმა“ ბოლო ორ თვეში უკვე მესამე მწვრთნელი გამოიცვალა. ახლა კლუბში 44 წლის სერგეი ანდრეევი მიიწვიეს, რომელმაც 6 თვის წინ როსტოვის „როსტსელმაშის“ თავკაცის თანამდებობა დატოვა. „ჩერნომორეცში“ მან ვიქტორ ზერნოვი შეცვალა, რადგან ამ უკანასკნელის ხელმძღვანელობით კლუბმა ბოლო ხუთი მატჩიდან ოთხი წააგო. „ჩერნომორეცს“ ახლა 14 ტურის შემდეგ 10 ქულა აქვს და ცხრილის ბოლოშია.

ავსტრალიელი თავდამსხმელი ჯონ ალოიზი „ქოვენთრიდან“ „ოსასუნაში“ გადავიდა. ბრიტანული სააგენტოების ცნობით, პრიმერადივიზიონურმა კლუბმა მის სანაცვლოდ 1,7 მილიონი დოლარი გადაიხადა, ხოლო ავსტრალიელმა ოთხწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

NANDROLONE

ვინ წამლავს ფეხბურთელებს?

„ვფიქრობ, მსაჯულები, რომლებსაც ალბათ ბავშვებიც ჰყავთ, მიხვდებიან რა ბოროტება გამიკეთეს“ — განაცხადა ველომრბოლმა მარკო პანტანიმ რამდენიმე თვის წინ, როცა ქალაქ ფორლის სასამართლომ დოპინგის ხმარებისთვის განაჩენი გამოუტანა.

პანტანიმ დაიჩივლა, მაგრამ მთლად ზუსტი ნათქვამი ვერ გამოუვიდა, რადგან სწორედ მშობლები არიან სპორტში დოპინგის სასტიკი წინააღმდეგნი. ტურინელ მოსამართლე რაფაელე გუარინელოს, რომელიც პანტანის საქმეს უძღვებოდა და ადგილობრივ მსაჯულ ლუიზა დელ ბიანკოს ორ-ორი შვილი ჰყავთ.

„სპორტსმენების ჯანმრთელობა სწორედ იმიტომ მაინტერესებს, რომ ორი შვილი მყავს“ — თქვა გუარინელომ. დელ ბიანკომ კი აღიარა, რომ თავის შვილებზე ფიქრობდა, როცა პანტანის საქმეზე მუშაობდა: „დოპინგი სულ უფრო წამლავს და აპარტახებს სპორტს. ის ახალგაზრდობის ჯანმრთელობის მტერია“ — ასეთია ქალბატონი დელ ბიანკოს აზრი.

უკვე ორი წელიწადია ტურინში დოპინგისა და აკრძალული ფარმაცევტული პრეპარატების ამბებს სერიოზულად იძიებენ. ზდენეკ ზემანმა ჟურნალ „ესპრესოსთან“ ინტერვიუში ჯერ კიდევ 1998 წელს ატეხა ამასთან დაკავშირებით ხმაური. გუარინელოც სწორედ მას შემდეგ დაინტერესდა დოპინგის პრობლემით. თავიდან თავისი ქალაქის გუნდების „იუვენტუსისა“ და „ტორინოს“ გასახდელებში შეიხედა და დარწმუნდა, რომ სპორტსმენებს მართლაც წამლავენ. გუარინელოს ეგონა, რამდენიმე აბს წააწყდებოდა, მაგრამ როგორ გაუკვირდა, როცა იქ მთელი აფთიაქები იხილა. ეს იყო ათასგვარი მედიკამენტების მთელი გროვა. თითქოს ახალგაზრდა სპორტსმენების ოთახში კი არა ბებერი, ქრონიკულად დაავადებული ადამიანების პალატაში მოხვდა. უარესი ის იყო, რომ დაახლოებით იგივე სურათი დახვდა ჭაბუკთა გუნდებშიც.

რას აღარ იყენებენ ცრუექიმები, შინაგან ინექციებს, წვეთოვანებს და კრეატინს, რომელსაც თურმე ზოგან სუფრის კოვზებით ასმევენ ფეხბურთელებს. არადა, დადგენილია, დღე-ღამეში სამ გრამზე მეტის მიღება არ შეიძლება...

ახალგაზრდების აკრძალული პრეპარატებით მოწამვლისათვის „ტორინოს“ ექიმსა და ხელმძღვანელებს, თუ დაუმტკიცდათ, მკაცრი სასჯელი ელით. საქმე ტურინის სასამართლოშია.

უკეთესობა არც „იუვენტუსის“ სამზარეულოშია. ამით საკონსტიტუციო სასამართლოა დაკავებული.

დოპინგომანია მართლაც, ძალიან საზიფათო გახდა. ხშირად პროკურატურაში სასოწარკვეთილი მშობლები მიდიან და აცხადებენ, რომ მათი შვილი ფეხბურთს თამაშობს, მას რაღაც აბებს აყლაპებენ და ნემსებს უკეთებენ. თუმცა არ იციან რა ნივთიერებები შეჰყავთ მათი შვილის ორგანიზმში.

ბოლო დროს გახმაურდა, ეგრეთ წოდებული „ქვრივთა საქმეებიც“. ეს ქალები პროკურატურაში მიდიან და ქმრების ტანჯვით სიკვდილის შესახებ ყვებიან. ეს გახლავთ ამოტეროფული ლატერალური სკლეროზი, რომელიც ადრე 80 წლის მოხუცებს ემართებოდათ, გუარინელომ კი უკვე 18 შემთხვევა გამოავლინა, როცა ყოფილ ფეხბურთელებს ასეთი რამ 40-45 წლისებს დაემართათ. ერთს ეს საშინელი სენი 24 წლისასაც კი შეეყარა. ჯერ კიდევ შარშანწინ ის სერია A-ში თამაშობდა. დღეს კი ინვალიდის ეტლიდან ვერ დგება.

„ლა რეპუბლიკა“

„ფიორენტინას“ ოფისთან დიდი რიაზრიაა

60 მილიონის ჩეკი და 62 წლის ჩეკი გორი

აბა, კარგი ტოლდო, რუი კოშტა, ნუნუ გომეში...

ვიტორიო ჩეკი გორი

იტალიის სასამართლო „ფიორენტინას“ გაკოტრება-არგაკოტრების საქმეს იხილავს. სააგენტო ANSA აცხადებს, რომ ქვეყნის გაკოტრებათა საქმეების ტრიბუნალმა გახსნა საქმე, რომელიც ფლორენციული კლუბის აუდიტორთა წარდგენილ დოკუმენტებს ეყრდნობა.

ANSA-ს მოჰყავს ციტატა: „მე მოვითხოვე, რომ ეს დოკუმენტები კლუბის გაკოტრების პროცედურას საფუძვლად დაედოს“ — უთქვამს ტრიბუნალის ოფიციალურ წარმომადგენელ რაფაელე დამორას.

ორი დღის წინ საკუთრივ „ფიორენტინამ“ უარყო მას მედიის მიერ გავრცელებული ცნობა და განაცხადა, რომ არანაირ გაკოტრებაზე ლაპარაკი არ არის. ფლორენციელები აცხადებენ, რომ მათი აუდიტორების მიზანი სასამართლოს მიერ კლუბის ფინანსური მდგომარეობის დაფიქსირება გახლდათ და მეტი არაფერი. არადა, „ფიორენტინას“ დირექტორატის სხდომიდან გამოსულმა ერთ-ერთმა წევრმა აღიარა, რომ ვალი 59,05 მილიონ დოლარს შეადგენს.

ერთი შეხედვით, ეს მართლაც სერიოზული პრობლემაა, თუმცა, მეორე მხრივ, კლუბი თავს ფეხბურთელების გაყიდვით იიმედებს.

იმავ დირექტორატის წევრმა, რომელმაც ვალზე ისაუბრა, განაცხადა:

„დღევანდელი ეკონომიკური მდგომარეობა გვაიძულებს, კაპიტალის გაზრდაზე ფიქრს თავი დავანებოთ და ბიუჯეტის შესავსებად, ფეხბურთელების გაყიდვას მივყოთ ხელი“.

კეთილი, მაგრამ ეს გამოსავალი აშკარად არ მოეწონებათ გუნდის ისედაც განაწყენებულ ქომაგებს, რომელთათვისაც ერთი წლის წინ გაბრიელ ბატისტუტას „რომაში“ გაყიდვა დიდი დარტყმა იყო.

ახლა, ვალის დაფარვის უმთავრესი ხერხი მეკარე ფრანჩესკო ტოლდოსა და პორტუგალიელი გამთამაშებლის რუი კოშტას გასხვისებაა. ტოლდო — ევროპის ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი, შოგეხსენებათ, ცალი ფეხით უკვე ბარსელონელია, რუი კოშტას კი ყოველთვის გამოენახება მსურველი, მაგალითად, „მილანი“ და „რეალი“.

ამ ორის გარდა, საფეხბურთო ბაზარზე ძალიან კარგად გაიყიდებიან კიდევ ერთი პორტუგალიელი ნუნუ გომეში, ჩეხი მცველი ტომაშ რეპკა და იტალიელი ნახევარმცველი ანჯელო დი ლივიო.

კი, მაგრამ, რა გაუჭირდა ასეთი ამ ერთობ პოპულარულ კლუბს? — კითხულობს მრავალი და ეჭვის თვალით ფლორენციელთა პრეზიდენტისკენ, 62 წლის ვიტორიო ჩეკი გორისკენ იხედება.

შეგახსენებთ, რომ ჩეკი გორი ცნობილი იტალიელი მაგნატია, რომლის მოღვაწეობის სფეროც კინემატოგრაფი და მას მედია გახლავთ. მან „ფიორენტინა“, ფაქტობრივად, მემკვიდრეობით მიიღო 1993 წელს, საკუთარი მამისგან, მარიო ჩეკი გორისგან. ვიტორიოს გაცილებული მეუღლე რიტა რუზიჩ-ჩეკი გორი ყოფილი მეუღლისგან მისი მთლიანი ქონების, 2 მილიარდი ამერიკული დოლარის ნახევარს ითხოვს, რადგან ამტკიცებს, რომ ეს ქონება მათ ერთობლივად დააგროვეს.

ჩეკი გორი მეტად კოლორიტული და ექსცენტრული ადამიანია, რომელიც ხშირად უნახავთ მის წინააღმდეგ ამხედრებულ ფანებთან შეტაკებული. ამხედრების მიზეზი კი უმეტეს შემთხვევაში ხალხის საყვარელი მოთამაშეების გაყიდვა გახლავთ. თანაც, პრეზიდენტს ხშირად საყვედურობენ, რომ იგი საუკეთესობს ისე ყიდის, რომ მათი შემცვლელების მოწვევასა ან ახალგაზრდების აღზრდაზე არ ზრუნავს.

ჩეკი გორის პოპულარობას საგანგებო დარტყმა ახლახან დასრულებულმა სეზონმა მიაყენა, რომელშიც „ფიორენტინა“ მეცხრე ადგილზე გავიდა, ხოლო დასაწყისში მიყვანილი მწვრთნელი ფათიჰ თერიმი, თებერვალში დიდი ხმაურით წავიდა.

„თუ პრობლემა მე ვარ, მაშინ წავალ და ყველაფერს თავს დავანებებ. აღარც იმ ფულს დავხარჯავ, რამდენიმე ახალი მოთამაშის შესაძენად რომ მქონდა გადადებული“ — იმუქრება თავის მხრივ პრეზიდენტი.

ზიხეილ სურგულაძე

რუი კოშტა ჯერ ჰაერშია

აბა, პასპორტი მაჩვენე!

თაღლითები მსაჯულებს ეჩივიან

გუშინდელ „სარბიელში“ ვწერდით, რომ ყალბი იტალიური პასპორტების მრავალრაუნდიანი სასამართლო პროცესი დასრულდა. განაჩენი მხილებული კლუბებისთვის ერთობ არასახარბიელო გახლავთ, ამიტომაც თაღლითობისთვის დასჯილები საქმის გაგრძელებას, ანუ გადაწყვეტილების გასაჩივრებას აპირებენ.

მილანელები ბრაზილიელ კარის დარაჯს, დიდას გამოესარჩლებიან. კლუბის ადვოკატი ლეანდრო კანტამესა შეეცდება, ის ერთწლიანი დისკვალიფიკაციისგან იხსნას და „მილანს“ დაკისრებული სამარცხვინო ჯარიმაც აიცილოს.

მსგავსი პრეტენზიები აქვთ „ვიჩენცასა“ და „უდინეზესაც“. სერია B-ში მობურთალ ვიჩენცელთა უკმაყოფილება კლუბის დირექტორმა რინალდო საგამულამ გამოთქვა, ის ერთდროულად რამდენიმე საჩივრის დაწერას აპირებს. საგამულა აპელაციას ჯერდასა და დედეს ერთწლიანი მოკვეთის და კლუბის დაჯარიმების, მისი აზრით, უკანონოდ დაკისრების გამო შეაწუხებს. თუმცა ყალბისმქმნელს ფულადი ჯარიმა ფეხბურთში მოტრიალე დიდი თანხის კვალობაზე ეგებ სასაცილოდაც მოგეჩვენოთ — „ვიჩენცას“ ჯიბეს ოთხი ათას ოთხასი დოლარი ვერ შეათხელებს, მაგრამ კლუბს პატიოსანის სახელიც არ აწყენს.

სააპელაციო კომიტეტს პასპორტის გამყალბებელთა რეკორდსმენი „უდინეზეც“ მიაკითხავს. მას ოთხი ბრაზილიელი ფეხბურთელი და კლუბის რამდენიმე ხელმძღვანელი ჰყავს გადასარჩენი. კლუბის ადვოკატები მილიონ სამასიათასიანი საჯარიმო ქვითრის გაბათილებასაც შეეცდებიან.

„ინტერი“ და „რომა“ ჯერჯერობით ჩუმად არიან. ალბათ, სათქმელიც არაფერი აქვთ. აი, „ლაციოს“ პრეზიდენტი სერჯო კრანიოტი კი სწორედ რომ გვაოცებს. გუნდს ბედმა გაულიმა და არგენტინელი ვარსკვლავი, ხუან სებასტიან ვერონი ერთწლიან დისკვალიფიკაციას გადაურჩა. გამომძიებამ ვერონის გაბრიყვება და მისი ყალბი პასპორტით აღჭურვა აღმასრულებელ დირექტორ ფელიჩე პულიჩს დააბრალა. არგენტინელის გამართლება, კაცმა რომ თქვას, საკმაოდ უსაფუძვლო და ამდენად მოულოდნელიც გახლდათ, მაგრამ ვინმე ხომ უნდა დასჯილიყო? სამართალდამცავებმაც განტევების ვაცად აღმასრულებელი დირექტორი აქციეს. თუ არ ჩავთვლით ფულად ჯარიმას, „ლაციო“ ყველაზე სუფთად გამოძვრა ყალბისმქმნელთა პროცესიდან. სერჯო კრანიოტი კი გაიძახის, ფელიჩე პულიჩის უდანაშაულობას უსიკვდილოდ დავამტკიცებო.

გიორგი გამყრელიძე



ხუან სებასტიან ვერონი

პრა სჯობს, გაცლა სჯობს

გუშინწინ იტალიის საფეხბურთო ლიგის სადისციპლინო კომიტეტის სხდომაზე ხუან სებასტიან ვერონს ყალბ პასპორტთან დაკავშირებული ყველა ბრალდება მოუხსნეს. ახლა კი რომის „ლაციომ“ არგენტინელი გასაყიდად გაამზადა. ვერონის შეძენა ბევრ დიდ გუნდს სურდა, მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედი“ აქტიურობდა, მაგრამ საქმეს ფეხბურთელის შესაძლო დისკვალიფიკაცია აფერხებდა.

გამამართლებელი განაჩენის გამოტანის შემდეგ 26 წლის არგენტინელმა განაცხადა, რომ უახლოეს მომავალში მოიფიქრებს, სად გააგრძელოს კარიერა და უარყო „ბარსელონასა“ და „რეალში“ გადასვლის შესაძლებლობა, თუმცა...

შემოდგომაზე ვერონი კვლავ დაბარებულია სამოქალაქო სასამართლოში პასპორტის საქმეზე, მას ციხე ემუქრება. მართალია, იტალიის საფეხბურთო კავშირმა არგენტინელი გაამართლა, მაგრამ მას ზემდგომ ინსტანციაში გარისკვა არ სურს და იტალიას უეჭველად დატოვებს.

ვერონს „ლაციოსთან“ ოთხწლიანი კონტრაქტი აკავშირებს. თავიდან გუნდი მის სანაცვლოდ ოცდაათ მილიონ დოლარს ითხოვდა, მაგრამ სავარაუდოდ, ახლა, გამართლების შემდეგ, ფასს აუწევს.

ლაშა გეგეჭკორი

კირინის თასი

პარაგვაი 2:0 იუგოსლავია

1:0 ხ. კასერესი (39), 2:0 ფერეირა (83)

პარაგვაი: ჩილავერტი, ისასი (ზელაია 86), ხ. კასერესი, კანისა, სანტაკრუზი, ენტერე (ესპინოლა 73), ენსისო, მორინიგო (ამარილია 80), რობლესი (კეფენსი 58), გაფალანი, ჩ. კასერესი (ფერეირა 58)

იუგოსლავია: კრალი (სტევანოვიჩი 46), დმიტროვიჩი (ა. ივკოვიჩი 65), რასოვიჩი, პეტკოვიჩი, ზორიჩი, ცირკოვიჩი (დივიჩი 46), დ. ოგნიენოვიჩი (დუდიჩი 46), სტოიკოვიჩი (კრივოკაპიჩი 28), ჩაკარი, ტრობოკი (რადენოვიჩი 82), ბოგდანოვიჩი

მსაჯი: მასაიოში ოკადა (იაპონია)

21 213 მაყურებელი

ლიტვა

მე-19 ტურის მატჩი: კაუნასი — ვეტრა 3:0

კაუნასი	19	15	3	1	46:6	48
ატლანტასი	17	13	2	2	36:14	41
ჟალგირისი	18	11	4	3	32:17	37
ეკრანასი	17	7	5	5	26:16	26
ინკარასი	18	6	5	7	22:20	23
ნევეჟისი	18	5	6	7	14:21	21
გელეჟინისი	18	5	3	10	20:23	18
საკალასი	18	4	5	9	17:30	17
ვეტრა	19	3	3	13	15:40	12
დაინავა	18	2	2	14	14:56	8

REUTERS მალიორკიდან

ბერნდ კრაუსი

მწვრთნელთა ცვლა ესპანეთში

რაც „მალიორკას“ ჩემპიონთა ლიგის შესარჩევ ეტაპზე გამყვანმა ლუის არაგონესმა ევროსარბიელს სეგუნდადივიზიონელი „ატლეტიკო“ ამჯობინა, ბალეარელები დაფაცურდნენ და მწვრთნელად ბერნდ კრაუსი მიიწვიეს.

ავსტრიელი კრაუსი, რომელიც ნაკრებშიც თამაშობდა, გერმანიაშია დაბადებული და სამწვრთნელო კარიერაც იქ დაიწყო — მიოხენგლადბახის „ბორუსიაში“ მუშაობდა. შემდეგ, 1997 წელს, ის ესპანურ „რეალ სოსიედადში“ გადავიდა, სადაც პირველივე სეზონში მიაღწია წარმატებას. ბასკებმა პრიმერადივიზიონში მესამე ადგილი დაიკავეს და უეფას თასის საგზურიც მიიღეს.

მომდევნო სეზონში „სოსიედადი“ მეათე ადგილზე გავიდა და 1999 წლის ოქტომბერში კრაუსი გუნდიდან გაუშვეს. სამთვიანი უმუშევრობა მისი დორტმუნდის „ბორუსიაში“ მისვლით დასრულდა, თუმცა იქ დიდხანს არ გააჩერეს — ორ თვეში მოხსნეს.

ახლა — „მალიორკა“, რომელთანაც კრაუსმა ერთწლიანი კონტრაქტი გააფორმა და პირველი გამოცდის ჩაბარება აგვისტოში, ჩემპიონთა ლიგის პირველ შესარჩევ ეტაპზე მოუწევს.

„გუნდისთვისაც და პირადად ჩემთვისაც ლიგაში მოხვედრა უალრესად მნიშვნელოვანი რამაა, ეს ბუნებრივიცაა. აგვისტომდე დიდი დრო არაა დარჩენილი, რის გამოც სრულყოფილად მომზადება, ალბათ, გაგვიჭირდება, თუმცა „მალიორკა“ ისედაც ძალიან ძლიერი გუნდია და ამის იმედი მაქვს. რაც შეეხება ჩემი კონტრაქტის ვადას, კარგიცაა, რომ ის ერთწლიანია — ასე უფრო მონდომებით ვითამაშებ, რათა მერეც „მალიორკაში“ დავრჩე. ესეც რომ არა, რა თქმა უნდა, მონდომებას ისედაც არ დავაკლებდი“ — ასეთია ბერნდ კრაუსის პირველი მალიორკული განცხადება.

მომავალი სეზონიდან ახალი მწვრთნელი პრიმერადივიზიონში ახალგადასულ „ბეტისსაც“ უთავაზებს. „რაიო ვალეკანოს“ თავკაცმა ხუანდე რამოსმა, რომელიც მადრიდულ კლუბს ბოლო სამი წლის განმავლობაში ედგა სათავეში, სევილიაში არჩია კარიერის გაგრძელება და ერთწლიან კონტრაქტს მოაწერა ხელი.

„ბეტისს“ მარტის შემდეგ დროებითი მწვრთნელი ხელმძღვანელობდა. ფერნანდო ვასკესმა თანამდებობა ადრევე დატოვა, ხოლო გუნდი სეზონის ბოლომდე ლუის დელ სულმა ჩაიბარა, რომელმაც მოახერხა კიდეც პრიმერადივიზიონის საგზურის მოპოვება. თუმცა, როგორც წინასწარვე იყო ცნობილი, იგი გაათავისუფლეს. სევილიური კლუბის ახალ მწვრთნელ ხუანდე რამოსს ესპანურ გუნდებში მუშაობის ხანგრძლივი გამოცდილება აქვს, თუმც ძირითადად უსახელო კლუბებში მუშაობდა. კარიერა „ელჩეს“ ახალგაზრდული გუნდის წვრთნით დაიწყო. მერე კი „ლეჩიტანოს“, „ალკოიანოს“, „ლევანტეს“, „ლოგრონიესსა“ და „ბარსელონა B“-ს ედგა სათავეში.

„ლევანტესთან“ ერთად რამოსს 1994-95 წლებში პრიმერადივიზიონში გადასვლის შანსი ჰქონდა, თუმცა პლეი ოფში ვერ შეძლო მეტოქის ძლევა. სამაგიეროდ, მომდევნო სეზონში უკვე „ლოგრონიესი“ გადაიყვანა ზედა ლიგაში. მალევე „ბარსელონას“ ახალგაზრდულ გუნდში მიიწვიეს.

რამოსი „რაიო ვალეკანოს“ 1998 წლიდან წვრთნიდა და ამ გუნდსაც მოაპოვებინა პრიმერადივიზიონის საგზური. შარშან კი სულაც ევროთასებზე ათამაშა. ახლახან დასრულებული სეზონი მადრიდულმა კლუბმა მე-14 ადგილზე დაასრულა, რაც მწვრთნელს უარყოფით შედეგად ჩაუთვალეს და როგორც სააგენტოები იუწყებიან, აიძულეს, წასულიყო, თუმცა ოფიციალური ვერსიით, რაზეც უკვე ვწერდით, ის თავად წავიდა.

ზემოთ რაფაელ ვარკესი ვახსენეთ, რომელმაც „ბეტისის“ მწვრთნელის პოსტი მარტში დატოვა. ესპანური სააგენტოების რწმუნებით, მომავალი სეზონიდან იგი „ლას პალმასის“ თავკაცად მოგვევლინება. კანარის კუნძულების გუნდში იგი სერჯიო კრესჩის ადგილს დაიკავებს და კონტრაქტის პირობით ერთ წელიწადს იმუშავებს. რაც შეეხება, ვასკესის სამწვრთნელო გამოცდილებას, მას „კომპოსტელასთვის“, „ოვიედოსა“ და „მალიორკასთვის“ უხელმძღვანელია.

ნიკა ზუბლაძე

პრიმერადივიზიონის გუნდების მწვრთნელები

ალავესი (ვიტორია)	ხოსე მანუელ ესნალ პარდო
ატლეტიკი (ბილბაო)	იუპ ჰაინკესი
ბარსელონა	კარლოს რექსაჩი
ბეტისი (სევილია)	ხუანდე რამოსი
სელტა (ვიგო)	ვიქტორ ფერნანდესი
დეპორტივო (ლა კორუნია)	ხავიერ ირურეტა
ესპანიოლი (ბარსელონა)	ფრანსისკო პაკო ფლორესი
ლას პალმასი	ფერნანდო ვასკესი
მალაგა	ხოაკინ პეირო ლუკასი
მალიორკა	ბერნდ კრაუსი
ოსასუნა (პამპლონა)	მიგელ ანხელ ლოტინა
რაიო ვალეკანო (მადრიდი)	ანდონი გიოკოეჩეა
რეალი (მადრიდი)	ვისენტე დელ ბოსკე
რეალ სოსიედადი (სან სებასტიანი)	ჯონ ტოშაკი
სევილია	ხოაკინ კაპაროსი
ტენერიფე	პეპე მელი
ვალენსია	რაფაელ ბენიტესი
ვალიადოლიდი	პეპე მორე
ვილიარეალი	ვიქტორ მუნიოსი
სარაგოსა	ფრანსისკო ჩიჩი როხო

დახრილი შრიფტით — ახალდანიშნული მწვრთნელები

40° Copa América

Colombia 2001

11 al 29 de julio

იპოვეთ გატაცებული!

ოპოზიციამ კოლუმბიას კოპა წაართვა

კოლუმბიის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტ ერნან მეჯია კამპუსანოზე ახალი არაფერი ისმის. უგზოუკვლოდ დაკარგულ მაღალჩინოსანს ადგილობრივი სამართალდამცავები გამალებით, თუმცა ჯერჯერობით უშედეგოდ ეძებენ. ამ გამოძიების შედეგი კი უშუალოდ არის დაკავშირებული სამხრეთ ამერიკის ჩემპიონატის ჩატარებასთან. ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრესტაშემ ჟურნალისტებს აუწყა: „სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციიდან შეტყობინება მივიღეთ. ტურნირი შწყაძლოა, გადაიდოს მანამ, სანამ გატაცებულის ადგილსამყოფელი და ბედი არ გაირკვევა“.

და აი, როიტერის სააგენტომ სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტის ეუხენიო ფიგუერედოს განცხადება გაავრცელა: „ხუთშაბათს გადაწყდა, რომ კოპა ამერიკა კოლუმბიაში აღარ ჩატარდება — ქვეყანაში, რომელიც ვერ უზრუნველყოფს, არათუ ჩვეულებრივი, არამედ ისეთი თანამდებობის პირის დაცვას ძალადობისაგან, როგორიც ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი გახლავთ“. ასევე ითქვა, რომ მასპინძლობის ყველაზე რეალურ ვარიანტად ბრაზილია მოიაზრება. თუმცა, ერთხელაც შევნიშნოთ, რომ ეს ჯერჯერობით მხოლოდ საინფორმაციო სააგენტოს ცნობაა.

ბრაზილიის ფეხბურთის ფედერაციამ ხუთშაბათს შუადღისას კონფედერაციის ხელმძღვანელობას ოფიციალური გეგმა წარუდგინა, რომელიც კოპა ამერიკის ბრაზილიაში შესაძლო გამართვას ეხება.

სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის პრესმდივანმა ხოსე ბარახამ განაცხადა, რომ ტურნირის შესაძლო მასპინძლად მექსიკისა და ურუგვაის კანდიდატურებიც განიხილება. მანვე დაადასტურა, რომ ტურნირის აღრე დაგეგმილი გრაფიკის შესაძლო ცვლილება ერთ კვირას არ აღემატება.

ახლახან ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოს მერმა მარიანო არანამ განაცხადა, რომ მისი ქვეყანა მზადაა, კოპა ამერიკას უმასპინძლოს, თუ კონფედერაცია კოლუმბიის კანდიდატურას საბოლოოდ დაიწუნებს.

მერმა დასძინა, რომ იგი უკვე შეეხმიანა უეხენიო ფიგუერედოს და რომ მას ქვეყნის სასტუმროების მფლობელები ზურგს უმაგრებენ. ისინი მზად არიან, ტურისტების საჭირო რაოდენობას სრულყოფილი მომსახურეობა გაუწიონ.

ურუგვაიმ კოპა ამერიკას ბოლოს 1995 წელს უმასპინძლა და მაშინ თამაშები მონტევიდეოში, მალდონადოში, პაუსანდუსა და რივერაში ჩატარდა. დედაქალაქის მერის ცნობით, ოთხივე ქალაქი ახლაც თანახმაა და მზადაა კოპა ამერიკის სამასპინძლოდ.

ასე რომ, სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის კონფედერაციის გადაწყვეტილებით კოლუმბიის მთავრობის გეგმები ჩაიფუშა, რომლითაც კოპა ამერიკა მშვიდობის თასის ლოზუნგით უნდა გამართულიყო. ასე შეეცდებოდა მთავრობა, გაენელებინა ქვეყანაში მიმდინარე ოცდაჩვიდმეტწლიანი სამოქალაქო ომი.

ერნან მეჯია კამპუსანოს გატაცებაში ეჭვმიტანილი მარქსისტული ორგანიზაციის აჯანყებული პარტიზანები არიან, რომელთაც ქვეყნის დასავლეთში საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ. ოცდაჩვიდმეტწლიანი არეულობის მანძილზე ორმოციათასი ადამიანი დაიღუპა.

სამშაბათს კოლუმბიის პრეზიდენტმა ანდრეს პასტრანამ აჯანყებულებს მოუწოდა კოპა ამერიკის დროს წინააღმდეგობა შეეწყვიტათ. მან თქვა, რომ უშიშროების ოცათასკაციან რაზმს გამოიყენებდა წესრიგის დასამყარებლად. თუმცაღა პრეზიდენტის ეს მიმართვა სამხრეთ ამერიკის ფეხბურთის მამებმა არად ჩააგდეს. მიზეზი სავსებით გასაგებია.

ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა კოლუმბიაში არსებული პოლიტიკური ვითარების გამო უარს ამბობენ დიდი მნიშვნელობის ტურნირის გამართვაზე. პირველად ეს 1986 წელს მოხდა, როდესაც კოლუმბის ნაცვლად მსოფლიოს ჩემპიონატის ჩატარება მექსიკაში გადაწყდა.

ერნან მეჯია კამპუსანომ კოლუმბია დიდ ხათაბალაში გახვია

რიგალდოს შვებულება ელირსა

თუმცა, სადაც არ უნდა ჩატარდეს ჩემპიონატი, მისთვის მზადებაა საჭირო და მწვრთნელებიც შემადგენლობებს ასახელებენ. გუშინ ბრაზილიელთა ახალმა თავკაცმა ლუის ფელიპე სკოლარიმაც გამოაქვეყნა ჩემპიონატზე წასაყვან მოთამაშეთა სია.

აღსანიშნავია, რომ სკოლარის სიის მიღმა დარჩნენ — რომარიო, კაფუ, რობერტო კარლოსი, რივალდო და ძაგო.

ვეტერანი რომარიოს ნაკრებში არშეყვანა სკოლარიმ ტრავმით ახსნა. მან თქვა: „რომარიო მტკივან ფეხს მხოლოდ ახლა იშუშებს. ის მზად არაა“.

ამას წინათაც გაუწყეთ, რომ კაფუ გუნდს ტრავმის გამო დააკლდებოდა. „რომაში“ ჩატარებული მომქანცველი სეზონის შემდეგ იგი საშობლოში დაბრუნდა და სანაკრებო ვარჯიშისას დაშავდა.

რობერტო კარლოსის გამოუცხადებლობა სკოლარიმ იმით ახსნა, რომ იგი ბოლომდე ჯანმრთელი არაა და ეჭვობს, გადაღლილმა და მიკროტრავმებით გატანჯულმა ფეხბურთელმა რაიმე სარგებელი მოუტანოთ.

რივალდოზე კი განაცხადა, ამდენი სეზონია, შეუსვენებლად თამაშობს და ახლა ამ ზაფხულს არდადეგებისთვის ჩინებულად გამოიყენებენო.

„დროა ახალგაზრდა მოთამაშეებს გასაქანი მივცეთ“ — ბრძანა მწვრთნელმა და ნაკრებში ორი ახალბედა ედუარდო კოშტა და ფერნანდო შეიყვანა. ისინი ჭაბუკთა მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშობენ და დიდ ნაკრებს არგენტინიდან შეუერთდებიან.

მეკარეები: ნელსონ დიდა (მილანი, იტალია), მარკოსი (პალმეირასი);
მცველები: ფაბიანო ბელეტი (სან პაულუ), ალესანდრო (ატლეტიკო პარანენსე), როჟერი (გრემიო), ანჯელო დე სოუზა ჟუნიორი (პარმა, იტალია), კრისი (კრუზეირო), ლუსიო (ლევერკუზენი, გერმანია), ჟოზე ვიტორ როკე ჟუნიორი (მილანი, იტალია), ჟუანი (ფლამენგო);
ნახევარმცველები: ემერსონ ფერეირა (რომა, იტალია), ფაბიო როჩემბაკი (ინტერნასიონალი), ედუარდო კოშტა (გრემიო), ფერნანდო (ჟუვენტუდე), ჟუნინიო პაულისტა (ვასკუ და გამა), ალეში (პალმეირასი), ჟუნინიო პერნამბუკანო (ლიონი, საფრანგეთი);
თავდამსხმელები: ჯოვანი ელბერი (ბაიერნი, გერმანია), მარიო ჟარდელი (მარსელი, საფრანგეთი), ევერთონი (კორინთიანსი), ჯოვანი (ბარსელონა, ესპანეთი), ფაბიან ეულერი (ვასკუ და გამა).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ევროპის ქალთა ჩემპიონატი

რუსი ქალები დიდხანს არ ნებდებოდნენ
ინგლისელები ორ წუთში დაწვნენ

REUTERS ერგუურტიდან

გერმანელმა რუსს ბურთი არ დაანება

A ჯგუფი. I ტური

გერმანია 5:0 რუსეთი

1.0 ბეტინა ვაიგმანი (43), 2.0 ბირგიტ პრინცი (50), 3.0 მარენ მინერტი (69), 4.0, 5.0 სანდრა შმიდეი (73, 89)

შვედეთი 4:0 ინგლისი

1.0 იენე ტიორნვისტი (2), 2.0 კრისტინ ბენგტსონი (26), 3.0 ჰანა ლუნგბერგი (74), 4.0 სოფია ერიკსონი (80)

ინგლისელთა მწვრთნელ ჰოუპ პაუელს შვედებთან მატჩისთვის ასეთი რამ ჩაუფიქრებია: „ვფიქრობდი, რომ პირველ ტაიმში მეტოქე გრძელი პასებით შეეცდებოდა ჩვენს კართან მოახლოებას. ამის ჩასაშლელად ხუთი ნახევარმცველისა და ოთხი მცველის გაყვანა ვამჯობინე. მეორე ტაიმში შვედები დაიღლებოდნენ და მერე ჩვენც გავაძლიერებდით შეტევის ხაზს“.

აქედან რაც გამოვიდა, ოქმიდან ჩანს. ინგლისელთა ვითომდა, გაუვალი დაცვა მეორე წუთზევე გაიხვრიტა. „შვედებს ძალიან სწრაფი და მებრძოლი გუნდი ჰყავთ. მათ ბრწყინვალედ ითამაშეს, რასაც ვულოცავ“ — აღნიშნა ჰოუპ პაუელმა მატჩის შემდეგ.

შვედებმა მეორე გოლი პირველიდან ოცდაოთხ წუთში გაიტანეს და ეს კრისტინ ბენგტსონმა მოახერხა. აღვნიშნოთ, რომ ეს გოგო ამერიკულ „სან დიეგო სპირიტში“ თამაშობს და იქაურ უფროსობას ჩემპიონატზე გასაშვებად არ ემეტებოდა, ჩვენთვის გვინდიხარო. ამის გამო კრისტინს გერმანიასთან პირველი მატჩი გაუცდა და აბეზარ ამერიკელებს ზედ ინგლისთან მატჩის წინ გამოექცა.

სკანდინავიელებმა შესვენებამდე ეს ორი გოლი იკმარეს. ამასობაში ინგლისელებიც ცოტა გონს მოეგნენ და ერთხანს გაძლეს. მაგრამ ჰანა ლიუნგბერგმა ინგლისელთა სუსტი ადგილები უკვე იცოდა და მესამედ შეუგდო. საინტერესოა, რომ ეს გოგო თავის თანამემამულეს, განთქმულ მეგოლე ჰენრიკ ლარსონს იერით ნაკლებად ჩამოჰგავს, მაგრამ გოლების გატანა არანაკლებ ეხერხება — თერთმეტ სანაკრებო შეხვედრაში მეთხუთმეტე მიითვალა.

მეოთხე გოლი შვედებმა პირდაპირ კუთხურიდან ჩაახვიეს და დამშვიდდნენ. მათმა მწვრთნელმა მარიკა დომანსკი ლიფორსმა კი თქვა: „ნამდვილად არ მეგონა, თუ ინგლისელები ასე იოლად დაგვნებდებოდნენ. ვიცი, რომ უკეთ შეუძლიათ თამაში. ჩემებით, ცხადია, კმაყოფილი ვარ. ბოლო ტურში, რუსებთან, ფრეც გვყოფნის და ჯგუფიდან გავალთ“.

ჰოუპ პაუელმა კი ინატრა: „იმედი მაქვს, შვედები რუსებთან დამარცხდებიან, ჩვენს მეტოქე გერმანიას კი მოტივაცია დაკარგული აქვს და ეგებ დავამარცხოთ“.

ინგლისელი მწვრთნელი რომ ამბობს, გერმანიას მოტივაცია აღარ აქვსო, უნდა დავუჯეროთ. აბა, ცხრილს ჩავხედოთ. მართალია, გერმანია უკვე ნახევარფინალშია, მაგრამ საკითხავია, ისურვებენ თუ არა ტურნირის მასპინძლები მესამე ტურში უბრძოლველად დანებებას.

გერმანელთა თავქალი ტინა ტეუნმაიერი ამბობს, რომ არ დანებდება: „ორ მატჩში რვა გოლი გავიტანეთ, რაც დიდებული შედეგია და ახლა გვსურს, სამი მოგებით გავიდეთ ჯგუფიდან“.

რუსი ქალები არ ნებდებოდნენ და მთელი ტაიმი მედგარ წინააღმდეგობას უწევდნენ მოქმედ ჩემპიონს. ტაიმის მესამედი იყო გასული, როცა კლაუდია მიულერი სულ ახლოს იყო მიზანთან, მაგრამ სვეტლანა პეტკომ რუს ქალთა ღირსება პირისპირ ბრძოლაში შეინახა, თავდამსხმელს ფეხებში ჩაუწვა და დარტყმა საკუთარ სხეულზე მიიღო. ასეთი, თუ დაახლოებით ასეთი ეპიზოდები კიდევ რამდენიმე იყო, მაგრამ ტაიმის მიწურულს არაქათგამოცლილი პეტკო ბეტინა ვაიგმანმა დაჩაგრა — პირველი გოლი გაუტანა.

რუს მეკარეს, რაკი ერთხელ გაუსინჯა გოლს გემო, შესვენების შემდეგ იმდენი წინააღმდეგობა აღარ გაუწევია და გერმანელები კიდევ ოთხჯერ ასიამოვნა.

ცხადია, ასეთი დასასრულით რუსთა კაცი მწვრთნელი იური ბისტრიცკი ვერ ისიამოვნებდა, მაგრამ თავის გოგოებს ნამუსი შეუნახა, აი, ნახავთ, ეს გერმანელები სხვებსაც თუ არ დაიოკებენო.

ბიორგი დარჯანია

გერმანია	2	2	0	0	8:1	6
შვედეთი	2	1	0	1	5:3	3
ინგლისი	2	0	1	1	1:5	1
რუსეთი	2	0	1	1	1:6	1

გერმანია გავიდა ნახევარფინალში

I ტური, 30 ივნისი: ინგლისი — გერმანია; შვედეთი — რუსეთი

REUTERS ერგუურტიდან

გერმანელმა ქალებმა (თეთრ მაისურებში) ჯგუფიდან გასვლა გაინაღდეს

პრიპვალოსანი

REUTERS ანჯელოსიდან

გამარჯვებულნი: კოსტია ძიუ და ზაბ ჯუდა

რამდენიმე უსახური ბრძოლის შემდეგ, ზაბ ჯუდამ ალან ვესტერი დაამარცხა. ვესტერის საგვემად სამი რაუნდი სრულიად საკმარისი აღმოჩნდა. ასე, რომ ჯუდა ქვე-ველტერის წონაში (63,6კგ) კვლავ IBF-ის ქამარს ფლობს.

ამბავი, რომელიც ახლა მოგახსენეთ და რომლის დროსაც ჯუდამ სიმძლავრე და სისწრაფე საოცრად შეუხამა ერთმანეთს, კონექტიკუტში, მოჰეგანის „სან კაზინოში“ მოხდა.

მაგრამ აქ, აუცილებლად გასათვალისწინებელია, რომ ალან ვესტერი უცნობი დანიელი მოკრივე გახლავთ, რომლის კარიერაშიც ყველაზე დიდი გამარჯვება ჯორჯ სკოტთან ყოფილა. ერთი სიტყვით, დასაწყისშივე ნათელი იყო, რომ ვესტერი ნომერ პირველ კანდიდატად დიდი გაზვიადებით თუ ჩაითვლებოდა, რითაც ჯუდამ, ბუნებრივია, ჩინებულად ისარგებლა. ბრძოლა რომ დაიწყო, დანიელი მყისვე უსუსურად დადგა და სრული შთაბეჭდილება შეიქმნა, რომ მსოფლიოს ერთ-ერთ საუკეთესო მოკრივესთან ჩხუბში თავის გამოჩენას არც აპირებდა.

უკვე მეორე რაუნდში ჯუდამ მოწინააღმდეგე ორჯერ დაანარცხა, ხოლო მესამეში საქმე მოამთავრა. მოგვიანებით ვესტერმა განაცხადა, რომ მეტოქის სისწრაფის ძლევას სისწრაფითვე აპირებდა, მაგრამ ეს შეუძლებელი აღმოჩნდა.

🏃🏃🏃

კოსტია ძიუმ 12 რაუნდიან, რთულ ბრძოლაში WBC-სა და WBA-ს ქვეველტერის წონის ქამრები შეინარჩუნა. მისი მეტოქე გახლდათ გერმანიაში მცხოვრები თურქი ოქთაი ურქალი. ეს ბრძოლაც, ზემოხსენებულის მსგავსად კონექტიკუტში, მოჰეგანის „სან კაზინოში“ გაიმართა.

შედარებით უცნობი ურქალი, რომელმაც კარიერაში პირველი მარცხი იწვნია (28-1) ნამდვილი ჩემპიონივით იბრძოდა. ყოველთვის, როგორც კი ძიუ საქმეს გამარჯვებისკენ წაიყვანდა, თურქი მოძებნიდა ხერხს, რომლითაც რთულ მდგომარეობას თავიდან იცილებდა. ასეთი ვაჟკაცობით მოხიბლულმა მაყურებელმა ის ლამის საკუთარ მოკრივედ მიიჩნია და დიდ მხარდაჭერა აგრძნობინა.

საწყის რაუნდებში გამოჩნდა, რომ ძიუს მოწინააღმდეგის სწრაფ მოქმედებებთან გამკლავება უჭირდა. ურქალი ცდილობდა ძიუ შეტევაზე გადაეყვანა და კონტრშეტევით დაემარცხებინა. უნდა ითქვას, რომ თურქმა მართლაც შეძლო ბრძოლის ამ მონაკვეთის გაკონტროლება — მხოლოდ ორი დარტყმა გაეპარა.

მეხუთეში ურქალმა თავად შეასრულა ორი ეფექტური დარტყმა. ერთით ძიუ ბოგირს მიენარცხა, ხოლო მეორემ თავი შეუხურა. ამ წარმატებით იმედჩასახულმა პრეტენდენტმა კიდევ უფრო გაძლიერა მოქმედებანი, მაგრამ, როგორც ყოველთვის, აუღელვებელმა ძიუმ შუა რაუნდებში სასწორი ისევ თავის სასარგებლოდ გადახარა და გადამწყვეტი როლიც სწორედ ამ რაუნდებმა ითამაშა.

მეთორმეტე რაუნდში კვლავ თურქმა სცადა ძალების მოკრება. ის ძლიერად იენევდა მუშტებს, თუმცა ძიუს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ერთი ნაბიჯითაც არ დაიხია უკან. საბოლოოდ სამივე დამთვლელმა უპირატესობა ჩემპიონს მიანიჭა: 115-113, 116-113, 116-112

🏃🏃🏃

ორი დღის წინ ქვემძიმეწონოსანი მითეივენ სკოტლანდი ჯორჯ ჯონსთან იბრძოდა და ნოკაუტში ჩავარდა — დღეს იგი ნიუ იორკის საავადმყოფოშია. „ნიუ იორკ დეილი ნიუსის“ ცნობით, მოკრივე ვერაფერს იხსენებს, თუმცა სიცოცხლისთვის სახიფათო არაფერი ჭირს.

აღსანიშნავია, რომ სკოტლანდი, რომელსაც კარიერაში 20 გამარჯვება (9 ნოკაუტით), 7 ფრე და 2 დამარცხება უნახავს, ჯონსონის მეტოქედ ბოლოწამს დასახელდა, თორემ წესით მის ნაცვლად რინგზე დევიდ ტელესკო უნდა ყოფილიყო.

🏃🏃🏃

მაიკ ტაისონის მრჩეველი შელი ფინკელი აცხადებს, რომ მისი კლიენტისა და ლენოქს ლუისის ბრძოლა, შედგება, რადგან „თითქმის ყველაფერი მოგვარებულია“.

„შესათანხმებელი რამდენიმე საკითხიღა დარჩა — უთხრა ფინკელმა „მოჰეგან სანის“ კორესპონდენტს — ძირითადად ყველაფერ ნათელია“.

ერთი კვირის წინ დაირხა ხმები, რომ ტაისონ-ლუისის სუპერბრძოლა 12 დეკემბერს გაიმართება, თუ უდავო ჩემპიონი, ჰასიმ რაჰმანი ლუისთან რემატჩს არ დათანხმდება. როგორც ირკვევა, „რამდენიმე საკითხი“, რომელიც ფინკელმა ახსენა, სწორედ რაჰმანთან არის დაკავშირებული, ვინაიდან, ერთი კვირისავე წინ, ნიუ იორკის სასამართლომ რაჰმანის წინააღმდეგ ლუისის სარჩელი განიხილა და ექსჩემპიონი გაამართლა.

ტუტა სიხარულიძე



ჩემპიონთა ფიჭვის გვირგვინი

პოსეიდონის სადიდებელი ისთმიური თამაშები

ანტიკურ ხანაში ოლიმპიური თამაშები არ იყო ელინთა ერთადერთი ზეიმი, რომელსაც სპორტული ასპარეზობანი ამშვენებდა. იმ დროს ეწყობოდა სხვა მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი თამაშებიც, რომლებშიც გამარჯვება არანაკლებ საამაყოდ ითვლებოდა. ოლიმპიურ თამაშებში გამარჯვებული ათლეტი ოლიმპიონიკის წოდებას იღებდა, ხოლო ის, ვინც ოთხწლიანი ციკლის ყველა თამაშებში იყოჩაღებდა, პერიოდონიკად იწოდებოდა.

ოლიმპიურ თამაშებს თავისი მნიშვნელობით მოჰყვებოდა პითიური ზეიმი და ისთმიური დღესასწაული. პითიურ თამაშებზე ამ გაზაფხულის პირზე გვქონდა საუბარი, ახლა კი ისთმიურზე შევჩერდებით.

ეს პანელინური თამაშები პოსეიდონის პატივსაცემად ეწყობოდა მისივე სახელობის ფიჭვნარში, რომელიც ისთმოსში, კორინთოს ყელზე მდებარეობდა.

ზღვათა და ქარიშხალთა მეუფის, დედამიწის შემარყეველი პოსეიდონის სადიდებელი თამაშობანი იმართებოდა ბეოტიაშიც და ინქესტოშიც. იონიელებმა მისი კულტი მცირე აზიაშიც გადაიტანეს, ნიკალეში ტაძარიც აუგეს და დიდ პანიონიურ ასპარეზობასაც დაუდეს სათავე, მაგრამ ამ შეჯიბრებათაგან ისთმიურს ვერც ერთი ვერ უტოლდებოდა.

ისთმიური თამაშების დაფუძნება, ისე როგორც სხვა დანარჩენისა, მითებს უკავშირდება. ერთ-ერთი მითის მიხედვით, იგი კორინთოს მეფესა და აღმშენებელ სიზიფეს დაუარსებია. ისთმოსში მას ერთ დროს ზღვის ღმერთად ქცეულ მეზღვაურთა მფარველ მელიკერტეს (თამანტის) ცხედარი უნახავს გამორიყული და მის პატივსაცემად ისთმიური თამაშები დაუფუძნებია.

სხვა მითის მიხედვით, დელფინს ზღვაში დახრჩობისგან უხსნია ჯერ კიდევ ბიჭუნა მელიკერტე. ანტიკურ ხანაში ძრავალ მონეტას ამშვენებდა დელფინზე მჯდომი ყმაწვილი, რომელიც ზღვის ტალღებზე დანავარდობს. დელფინის მიერ ზღვაში მელიკერტეს გადარჩენას უმღეროდნენ მოხეტიალე მომღერლები, ამ გადარჩენის აღსანიშნავად კი სიზიფეს ისთმიური თამაშები დაუარსებია.

სხვა ვერსიის თანახმად ამ თამაშების დამფუძნებელი თავად პოსეიდონი და ჰელიოსია, რომლებმაც ისთმიური თამაშები მელიკერტეს დაკრძალვას მიუძღვნეს, პლუტარქე კი ამტკიცებს, ეს დღესასწაული ჰერაკლეს შემდეგ ბერძენთა უდიდესმა ეროვნულმა გმირმა თეზევსმა დაარსაო.

თუ არსებობს მოსაზრება, რომ ყოველ მითიურ სახეს საფუძვლად უდევს სინამდვილე, ამის ერთ-ერთ საუკეთესო მაგალითად თეზევსიც გამოდგება. მკვლევართა აზრით, თეზევსს უდავო კავშირი აქვს ისტორიულ მოვლენებთან, პლუტარქე კი მის ბიოგრაფიას ისევე მოგვითხრობს, როგორც რეალურად არსებული სხვა გამოჩენილი ადამიანისას.

თეზევსი, ჰერაკლეს მსგავსად, ქალაქებს ათავისუფლებდა ტირანების, ყაჩაღების, მძარცველების, ავაზაკების ნადირებისა და ურჩხულებისგან. მან საგმირო თავგადასავალი ჯერ კიდევ ჭაბუკმა დაიწყო, როცა მამამისთან, ათენის მეფე ეგეოსთან წავიდა. მას წინ ედო მეტად სახიფათო გზა, სადაც ბინადრობდა ურიცხვი ყაჩაღი, მკვლელი და ურჩხული, რომლებიც გამვლელ-გამომვლელს ხოცავდნენ.

ერთ მშვენიერ დღეს თეზევსი მეგარისა და ატიკის საზღვარზე გადაეყარა სკირიონს, რომელიც მეტად ახირებული და ულმობელი ვინმე იყო. იგი მგზავრებს ძარცვავდა, თან აიძულებდა, მისთვის ფეხები დაებანათ. ამისთვის იგი მგზავრს სკირიონის ქარაფის თავზე ასვლას და იქ ფეხის დაბანვას აიძულებდა. ამ დამამცირებელი პროცედურის მერე მსხვერპლს მოულოდნელად ფეხს ჰკრავდა და ქარაფიდან ზღვაში აგდებდა, იქ კი იმ უბედურს კუ შეექცეოდა.

იმ დღეს სკირიონმა თეზევსიც იმ კლდეზე აიყვანა. ის იყო თეზევსი დაიხარა, ვითომ ბრძანების შესასრულებლად, რომ მოულოდნელად სკირიონს ფეხებში სტაცა ხელი, მოიქნია და უფსკრულისკენ მოისროლა. აბორგებულ ტალღებში ჩავარდნილი სკირიონი იმავე კუმ შეჭამა და საკუთარი სიცოცხლით ზღო თავისი ბოროტებანი.

ამ ამბის აღსანიშნავად თეზევსმა ისთმიური თამაშები დააწესა. თუმცა, არის სხვა, უფრო პოპულარული მითი იმის შესახებ, თუ როგორ გაუსწორდა თეზევსი ბუმბერაზ ყაჩაღ სინისს (სინიდი), მეტსახელად პიტიოკამპეტს, რაც ფიჭვის მდრეკელს ნიშნავს.

ეს ყაჩაღი მოხრიდა ორ ფიჭვს, მათ კენწეროებზე თავისი მსხვერპლის ფეხებს აბამდა, მერე მოდრეკილ ხეებს უშვებდა და განწირული მგზავრი შუაში იხლიჩებოდა.

თეზევსი

თეზევსმა სინისი შეიპყრო და როგორც არისტოტელე, ქსენოფონტე და პლუტარქე გვიამბობენ, მისივე მსხვერპლებივით გახლიჩა, ამ გმირობის აღსანიშნავად კი ისთმიური თამაშები დააწესა.

ამ თამაშების დაარსებასთან დაკავშირებით კიდევ ერთი მითი არსებობს. მისი მიხედვით თეზევსმა მას მერე, რაც ათენში დაბრუნდა, მამა დაიტირა, მის ტახტზე დაბრძანდა, სახელმწიფო გააერთიანა, იქ წესრიგი დაამყარა და საერთო დედაქალაქად ათენი გამოაცხადა. ამ დიდი ეროვნული საქმის აღსანიშნავად დააწესა პანათენეების დღესასწაულები და ისთმიური თამაშები. ყოველივე ამის გამო მან მიიღო სახელი თეზევსი (თეზის — დაწესება, შემოღება).

ბუნებრივია, რომ თეზევსის კულტიც დიდ პატივში იყო, რისთვისაც მას ეძღვნებოდა ყოველი თვის მერვე დღე, როგორც იონიელთა დიდ ღმერთ-პოსეიდონს. ვარაუდობენ, რომ თავდაპირველად თეზევსი სულაც პოსეიდონის ზედწოდება იყო.

ასე იყო თუ ისე, ისთმიური თამაშების დაარსების თარიღად ჩვენს წელთაღრიცხვამდე 583 წელი ითვლება.

შემდგომში პოსეიდონისადმი მიძღვნილი ეს თამაშები ეწყობოდა ორ წელიწადში ერთხელ, ყოველი ოლიმპიური ციკლის პირველ და მესამე წელიწადს, მთ შუალედურ პერიოდს კი ერქვა ისთმი.

როგორც ვთქვით, იგი ტარდებოდა პოსეიდონისავე სახელობის ფიჭვნარში. აქ იყო პოსეიდონის ტაძარი, იპოდრომი, სტადიონი, გიმნაზია, თეატრი. აქ ერთმანეთს ეპაექრებოდნენ მუსიკოსებიც, პოეტებიცა და ათლეტებიც. შეჯიბრებები იმართებოდა ცხენოსნობაშიც, ჭიდაობაშიც, რბენაშიც...

იმ ფრაგმენტულ ცნობებზე დაყრდნობით, რომლებიც მოგვეპოვება, ნათელია, ისთმიურ თამაშებზე თავდაპირველად იმართებოდა მხოლოდ მძღეოსანთა შეჯიბრებები და ცხენოსანთა ეტლებით რბოლები, მუსიკალური კონკურსები კი მოგვიანებით, ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III საუკუნეებიდან ეწყობოდა. თავდაპირველად ამ კონკურსებს უმნიშვნელო ადგილი ეჭირათ. მოგვიანებით მხატვრულ კონკურსებს შეემატა თეატრალური კონკურსებიც. ისტორიკოსები გვამცნობენ ისთმიურ თამაშებზე მხატვართა კონკურსების არსებობასაც.

ისთმიური თამაშების დაწყებამდე იმართებოდა რელიგიური ცერემონია. ამას მოჰყვებოდა ათლეტთა სააღლუმო მსვლელობა. მსაჯები და ღვთის მსახურნი წმინდა გზით მიემართებოდნენ პოსეიდონის ტაძრისკენ, რომელიც აკროპოლის მსგავსად ნაგები და კედლებით იყო გარშემორტყმული. გზის ერთ მხარეს ჩარიგებული იყო ისთმიურ თამაშებში გამარჯვებულთა ქანდაკებები, მეორე მხარეს კი მიჰყვებოდა ველური ფიჭვის ხეივანი, რომელიც ზღვის ღმერთის წმინდა მცენარეა.

გამარჯვებულს სწორედ ამ ფიჭვის გვირგვინით აჯილდოებდნენ და პრემიად დაწესებული 100 დრაქმასაც გადასცემდნენ, ამასთან, იგი იღებდა ქებასაც.

ისთმიურ თამაშებში გაუმარჯვნიათ მითიურ კასტორს (რბენაში), პოლიდევკეს (კრივში), კალაიდისს (ორმაგ ფლეიტაზე დაკვრაში), ორფეოსს (კითრაზე დაკვრაში), ჰერაკლეს (ჭიდაობაში)...

ისთმიურ თამაშებზე გაუმარჯვნიათ რეალურად არსებულ პიროვნებებსაც, რომელთა გმირობა შემდგომ მითიურ საბურველში შემოსილა. მათ შორის იყო ექვსგზის ოლიმპიური ჩემპიონი, კროტონელი მოჭიდავე მილონი. მას სხვადასხვა პანელინურ თამაშებში მთელი 20 წლის განმავლობაში არ ჰყავდა ბადალი, რაზეც მეტყველებს მილონის თექვსმეტგზის გამარჯვება ისთმიურ თამაშებზეც.

ისთმიურ თამაშებზე ათჯერ გაუმარჯვნია ფასოსის კუნძულელ ფეგაგენს, რომელსაც მუშტიკრივსა და პანკრატიონში არ ჰყავდა ბადალი.

პოსეიდონის სადიდებელი თამაშების გამარჯვებულია ახალგაზრდა არისტოკლე, რომელსაც თავისი ფიზიკური მონაცემების წყალობით ჭიდაობაში უყოჩაღია, ისტორიაში კი პლატონის სახელით დაუმკვიდრებია ადგილი, როგორც უდიდეს ფილოსოფოსს.

ათლეტთა შეჯიბრებების შემდეგ, საღამო ხანს მელისერთის ტაძრის მახლობლად, მლოცველთა მიერ მოტანილი ათასობით ჩირაღდნითა და კოცონით განათებულ ადგილზე ახალგაზრდებისა და ბავშვებისთვისაც იმართებოდა გრანდიოზული მუსიკალური წარმოდგენები, პაექრობები რიტორიკაში, პოეზიაში...

ისთმიური თამაშები არანაკლებ პოპულარული იყო რომის იმპერიის ქვეშევრდომობის დროსაც, როცა კორინთო ჰყვაოდა. ამას ხელს უწყობდა ორ ზღვას შორის მისი არსებობაც, რის გამოც იგი იოლად მისასვლელი იყო.

ისთმიური თამაშები შეწყდა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 146 წელს, როცა ქალაქი რომაელი გენერლის, ლუციოს მუმიოს ჯარებმა მიწასთან გაასწორეს. ისთმიური თამაშები კორინთოს ჩვენს წელთაღრიცხვამდე 46 წელს იულიუს კეისრის მოთხოვნით დაუბრუნდა.

ზღვათა მეფე

ავთანდილ გურასაშვილი

პოსეიდონის ბრინჯაოს ქანდაკება

ისთმიური თამაშები. პამფილიის ფრესკა. რომი

კორინთო

NBA NY 01 DRAFT

დრაფტი 2001

ეროვნული ბიბლიოთეკა

დიდებული ლაწირაკები

უწოდეთ წლევანდელ დრაფტს ბავშვთა სამყარო და არ შეცდებით: ოთხი საუკეთესოდან სამი სკოლის მოსწავლეა

27 ივნისს ნიუიორკულმა დარბაზმა „მედისონ სკვერ გარდენმა“ 2001 წლის დრაფტს უმასპინძლა. ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა და დრაფტი ყოველგვარი წესების დაცვით ჩატარდა, თუმც მისი მსვლელობისას დამსწრეთ, რომელთა რიცხვი ორ ათეულ ათასს შეადგენდა, არაერთხელ დაუდგათ თმები ყალყზე. მხცოვან სპეციალისტთა აზრით, ეს იყო ყველაზე გადარეული დრაფტი, რომლის მსგავსიც არ ახსოვს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციის ნახევარსაუკუნოვან ისტორიას. ყოველწლიურ წვრილმან გაცვლებთან ერთად, წლევანდელი დრაფტი უხვად იყო გაჯერებული მსხვილი, მასშტაბური ვაჭრობებით, რომლებშიც ნადრაფტალ ყმაწვილებთან ერთად ნბა-ს ვარსკვლავებიც მონაწილეობდნენ. ხშირი იყო სიგიჟეესთან მიახლოებული არჩევნები და მრავლისმნახველ „მედისონ სკვერს“ გაოცების ტალღამ რამდენჯერმე გადაუარა.

ბევრზე მეტყველებს სტატისტიკა. პირველივე წრეში აირჩიეს ხუთი უცხოელი კალათბურთელი, ერთით მეტი, ვიდრე უნივერსიტეტდამთავრებული, რაც თავისთავად სრული სენსაციაა. სამაგიეროდ, დრაფტი სრულიად დაიპყრეს სკოლის მერხიდან ორიოდ დღის წინ წამომდგარმა პირტიტველა ბიჭებმა. პირველივე წრეში ოთხ მათგანს გამოუწნდა პატრონი, ოთხივე მოხვდა პირველ რვა არჩევანს შორის. უფრო მეტიც, სამი მათგანი პირველი ოთხეულის წევრია და, რაც მთავარია, პირველად ლიგის ისტორიაში, დრაფტის პირველი ნომერი პირდაპირ სკოლიდან, უნივერსიტეტის გვერდის ავლით მოხვდა ნბა-ში.

დრაფტის ისტორიაში არცთუ იშვიათია შემთხვევები, როდესაც მოთამაშეები უმაღლესი განათლების თუნდაც ერთი კურსის მოსმენის გარეშე მიდიან ნბა-ში და არაერთი მათგანი (თანამედროვეთაგან კევინ გარნეტი, კობი ბრაიანტი, ტრეისი მაკგრეიდი...) სუპერვარსკვლავიც დამდგარა, თუმც არ ყოფილა შემთხვევა, ბიჭბუჭობაზე ასე მაღალი საარჩევნო ნომრები გაეფლანგოთ. აქამდე ყველაზე მაღალ ნომრად არჩეული სკოლის მოსწავლე კევინ გარნეტი გახლდათ, რომელიც 1995 წელს „მინესოტამ“ მეხუთე ნომრად აიყვანა. წლეულს კი პირველი, მეორე და მეოთხე არჩევნების მქონეებმა მათ დაადეს ხელი, ვისაც უნივერსიტეტის აუდიტორია თვალით არ უნახავს. რაც შეეხება მესამე ნომერს, არც ისაა ნასტუდენტარი, იგი უცხოელი გახლავთ და ესეც რეკორდია. ასე მაღალ ნომრად არასოდეს აურჩევიათ ის უცხოტომელი, ვისაც შტატებში სკოლასა ან უნივერსიტეტში არ გაუვლია „სტაჟირება“. ყველა ეს ჩამოთვლილი მონაცემები სარეკორდოა დრაფტების ისტორიაში.

არანაკლებ გაოცებას იწვევს ისიც, რომ პირველ ოც არჩეულს შორის ერთადერთი უკანახაზელია. ამ 19 წინახაზელიდან ცხრის სიმაღლე 210 სანტიმეტრს აღემატება, ამასთან პირველი ოთხეული ამ ცხრა ჟირაფში ურევია.

ახლა კი მივყვეთ თანმიმდევრულად. პირველი არჩევანის გაკეთების უფლება „ვაშინგტონ ვიზარდსს“ ჰქონდა. დედაქალაქელთა მფლობელმა და პრეზიდენტმა მაიკლ ჯორდანმა ბევრი იფიქრა თუ ცოტა, ბოლოს ხელი ახლახანს კოლადამთავრებულ 211-სანტიმეტრიან თავდამსხმელ კევინ ბრაუნს დაადო და სენსაციებიც თავიდანვე დაიწყო. ისე კი ბრაუნის პირველობა არცთუ დიდი მოულოდნელობა გახლდათ, რადგან 19 წლის ასაკის და მცირე გამოცდილების მიუხედავად, იგი წინდაწინვე მოიაზრებოდა პოტენციურ პირველ ნომრად. „ამ ბიჭს დიდი ნიჭი ეტყობა“ — თქვა არჩევნით კმაყოფილმა მაიკლმა და საკუთარი გუნდის მომავალ ლიდერს ნბა-ში შებიჯება მიულოცა.

ორიოდ თვის წინ გათამაშებულმა დრაფტ-ლატარიამ „ლოს ანჯელეს კლიპერსს“ ერთობ გაუმართლა, მეორე არჩევანი არგუნა. ლოსანჯელესელებმა, რომელთაც დრაფტში გენერალური მენეჯერი, ლეგენდარული ელჯინ ბეილორი მეთაურობდა, ეს შესაძლებლობა დაუფიქრებლად გაფლანგეს, როდესაც ასევე უმაღლესუნახავი ტაისონ ჩანდლერი ირჩიეს. მაგრამ „კლიპერსზე“ მეტი წინდაუხედაობა გამოიჩინა „ჩიკაგო ბულზმა“, რომელმაც ჩანდლერის სანაცვლოდ თვით გუნდის ლიდერი ელტონ ბრენდი გაიღო. ჩანდლერს უნიჭობას ვერავინ დასწამებს, 211-სანტიმეტრიანი ბიჭი ოდენ ას კილოგრამს იწონის, კევინ გარნეტივით სწრაფი და მოქნილია, თუმც მისი მეორეობა თითქმის წარმოუდგენელი იყო, ხოლო „ჩიკაგოს“ მხრიდან მის ხელში ჩასაგდებად თვით 1999 წლის დრაფტის პირველი ნომრის და იმ სეზონის საუკეთესო ახალბედას ელტონ ბრენდის შელევა კი დიდი რისკი გახლდათ. ბრენდის შედეგიანობა მატჩში საშუალოდ ოც ქულას და ათ მოხსნას აჭარბებს. დიდი ნიჭის მიუხედავად, არავინ იცის, როგორ მოერგება პირტიტველა ჩანდლერი ნბა-ს ფარქვეშთში გაჩაღებულ გლადიატორულ ბრძოლებს. „კლიპერსმა“ ჩანდლერს ხურდად ბრაიან სკინერი გააყოლა და ვაჭრობაც ამით მორჩა.

სამაგიეროდ, „ჩიკაგოს“ ღიპიანმა ბოსმა ჯერი კრაუზემ რიგიანად გამოიყენა მეოთხე არჩევანის უფლება, როდესაც დიდი ფიქრის გარეშე სწრაფად დასტაცა ხელი 211-სანტიმეტრიან და 135-კილოგრამიან ედი კარის, რომელსაც „ბაია შაკს“ უწოდებენ და ამბობენ, ამ ბოლო წლებში გაპარპაშებულ შაკილ ონილს ეგ ბიჭი თუ შეეტოქება ღირსეულადო. კარიც ნამოწაფარია. „ჩიკაგომ“ მოიხსნა წინა ხაზის პრობლემა.

უსენსაციოდ არც მესამე ნომრის დასახელებას ჩაუვლია. მესამე არჩევნის უფლება ლატარიამ „ატლანტა ჰოქსს“ უბოძა. ჯორჯიელებს მზე და მთვარე ამოსდიოდათ სტუდენტური ჩემპიონატის უძლიერეს კალათბურთელ შეინ ბეტიეზე და გაიძახოდნენ, თუ არავინ დაგვასწრო, სწორედ მაგ ბიჭს წავიყვანთო, თუმც ბოლო წამსღა გადაიფიქრეს და 213-სანტიმეტრიანი პაუ გასოლი ირჩიეს, რითაც დრაფტის უმთავრესი სენსაციის ავტორები გახდნენ. გასოლი ჯორჯიელთა ხორვატი ლიდერის, ტონი კუკოჩის ესპანური ანალოგია. დღესდღეობით ესპანური „ბარსელონას“ წევრ გასოლს მეექვსე-მეთორმეტე ნომრებს შორის მოიაზრებდნენ, რაც მისი, როგორც არაამერიკული საკალათბურთო სკოლის წარმომადგენლის, აღიარებაა. მისმა მესამეობამ კი ლამის მთელ დარბაზს თვალები გადმოუკარკლა და მაინც გასოლის აყვანა არ იყო უკანასკნელი, რითაც „ატლანტამ“ დამსწრე საზოგადოება გააკვირვა. საბოლოოდ „ქორებს“ არც ესპანელი დარჩათ და არც ბეტიე. დრაფტის დამთავრებისთანავე ისინი ვანკუვერელ „დათვებს“ მოურიგდნენ და გასოლი და კიდევ „ატლანტას“ ორი ძირითადი კალათბურთელი ლორენცენ რაიტი და ბრეკინ ნაითი „ვანკუვერს“ სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონსა და ოლსტარელ შარიფ აბდურ-რაჰიმში გაუცვალეს. აბდურ-რაჰიმს ხურდად „ვანკუვერმა“, რომელიც მომავალი სეზონიდან მემფისის სახელით გამოვა, 27-ე ნომრად არჩეული გამთამაშებელი ჯამაალ ტინსლი გამოაყოლა. თუმც ეს ვაჭრობა ამით მაინც არ დამთავრებულა, „ატლანტამ“ ტინსლი „ინდიანას“ დაუთმო მომავალი დრაფტის პირველი წრის არჩევანის სანაცლოდ. „ვანკუვერსვე“ დარჩა შეინ ბეტიე, რომელიც უკიდურეს შემთხვევაში მესამეობას ელოდა, მაგრამ პირველმა ზუთმა გუნდმა მას კარი მიუხურა.

2001 წლის დრაფტმა ბეტიეზე არანაკლებ გაუწბილა სეტონჰოლელი სტუდენტი, კიდევ ერთი პოტენციური პირველი ნომერი ედი გრიფინი, რომელიც აღარც მეხუთე არჩევანის მქონე „გოლდენ სტეიტმა“ გახადა ყურადღების ღირსად. საყოველთაო აზრით, „გოლდენ სტეიტმა“ ყველაზე ცუდად ივაჭრა, რადგან მსოლელი ჯეისონ რიჩარდსონი აიყვანა, რომლის ამპლუაშიც მეორე ბომბარდირი ჰყავს — ლარი ჰიუზი.

ედი გრიფინს კი საბოლოოდ მაინც გამოუჩნდა პატრონი. იგი მეშვიდე ნომრად აირჩია ჩვენებური ვლადიმერ სტეფანიას „ნიუ ჯერსიმ“, რომელსაც არ დაუმალავს სინანული ჯეისონ რიჩარდსონის დაკარგვის გამო. „ნიუ ჯერსის“ არ სჭირდებოდა გრიფინი, რადგან მის ამპლუაში ორი ლიდერი — კეიტ ვან ჰორნი და კენიონ მარტინი (შარშანდელი დრაფტის პირველი ნომერი) ჰყავს, ამიტომაც სარფიანად გაყიდა იგი. ცხადია, გრიფინის მსურველი ბევრი იყო, მასში ყველაზე მეტი „ჰიუსტონმა“ გაიღო, რომელსაც წარსულის გაცვლების წყალობით ამ დრაფტის პირველ წრეში ერთბაშად სამი არჩევანის უფლება ჰქონდა. საბოლოოდ „ჰიუსტონის“ მიერ მე-13, მე-18 და 23-ე ნომრად არჩეული ჯელები — რიჩარდ ჯეფერსონი, ჯეისონ კოლინზი და რენდონ არმსტრონგი „ნიუ ჯერსიში“ გადაბარგდნენ, გრიფინი კი მომავალ სეზონში „ჰიუსტონის“ მაისურას მოირგებს.

მომდევნო, მერვე არჩევანი, „კლივლენდს“ ეკუთვნოდა. „კავალერიამაც“ საკუთარ რაზმში ტომით სენეგალელ და ამერიკის სკოლაში დავაკაცებულ 213-სანტიმეტრიან და 140 კილოგრამიან „გორილას“, დესაგანა დიოპს დაუძახა. ესეც კიდევ ერთი სენსაცია. კლივლენდელები ამ გადაწყვეტილებას ძირითადი ცენტრის — ჟიდრუნას ილგაუსკასის მუდმივი ტრავმიანობით ამაგრებენ და ისე მოსწონთ აფრიკელი, რომ ვერ გადაუწყვეტიათ, მას ახალი ჰაკიმ ოლაჯუონი თუ ახალი დიკემბე მუტომბო უწოდონ.

„მთავარი საქონლის“ ასე გაცხოველებულ ვაჭრობაში გაყიდვამ ყველა გვარიანად მოღალა, პირველი წრეც შედარებით მშვიდად ჩამთავრდა. მცირე მოულოდნელობა იყო ევროპელთა წარმატება. იუგოსლავიელი ფრთა ვლადიმერ რადმანოვიჩი მე-12 ნომრად „სიეტლმა“ ირგუნა, მადრიდის „რეალის“ 180-სანტიმეტრიან გამთამაშებელს რაულ ლოპესს „იუტამ“ დასტაცა ხელი, რომელიც ბებერი ჯონ სტოქტონის შემცვლელს ეძებს, ასევე გამთამაშებელი, ოლონდ ფრანგი ტონი პარკერი კი 28-ე, ანუ პირველი წრის ბოლო არჩევანი გახდა. ამ უკანასკნელს პირველ წრეში ბევრი არავინ ელოდა, რადგან ანგლოსაქსური ფესვების მქონე და საფრანგეთის მოქალაქე პარკერი ჯერ ოცი წლისაც არ მოყრილა. ამასთან იგი დაბალია და ასეთებს ოკეანადმელები ნაკლებ ყურადღებას აქცევენ. ტრადიციულად მათ მაღალი ყმაწვილები ანტერესებთ. აღსანიშნავია, რომ პარკერს კადეტობის ასაკში ქართველთა წინააღმდეგ უთამაშია ევროპის ჩემპიონატზე.

პირველი წრეც პარკერით ჩამთავრდა. სულ პირველ წრეში 28 არჩევანი გაკეთდა, მიღებულზე ერთით ნაკლები, რადგან „მინესოტა ტიმბერვულვზს“ საკუთარ კალათბურთელთან საკონტრაქტო მაქინაციათა გამო დრაფტის პირველ წრეში მონაწილეობის უფლება ჩამორთმეული ჰქონდა.

ირაკლი ფირაგვილი

REUTERS-ის ფოტოებიდან

ნბა-ს კომისარი დევიდ შტერნი და წლევანდელი დრაფტის პირველი, მეორე და მეოთხე ნომრები: კევინ ბრაუნი, ტაისონ ჩანდლერი და ედი კარი

№	კლუბი	მოთამაშე	ამპლუა	სკოლა/უნივერსიტეტი
1	ვაშინგტონი	კევინ ბრაუნი	ფორვარდი	გლინ აკადემი
2	კლიპერსი (მიჰყიდა ჩიკაგოს)	ტაისონ ჩანდლერი	ცენტრი	დომინგესის სკოლა
3	ატლანტა	პაუ გასოლი	ფორვარდი	ბარსელონა (ესპანეთი)
4	ჩიკაგო	ედი კარი	ცენტრი	თორნვორდის სკოლა
5	გოლდენ სტეიტი	ჯეისონ რიჩარდსონი	უკანა ხაზი	მიჩიგან სტეიტი
6	ვანკუვერი	შეინ ბეტიე	ფორვარდი	დიუკი
7	ნიუ ჯერსი (მიჰყიდა ჰიუსტონს)	ედი გრიფინი	ფორვარდი	სეტონ ჰოლი
8	კლივლენდი	დესაგანა დიოპი	ცენტრი	ოკ ჰილ აკადემი
9	დეტროიტი	როდნი ვაითი	ფორვარდი	შარლოტი
10	ბოსტონი	ჯო ჯონსონი	ფორვარდი	არკანზასი
11	ბოსტონი	კედრიკ ბრაუნი	ფორვარდი	ოკალუზა-უოლტონი
12	სიეტლი	ვლადიმირ რადმანოვიჩი	ფორვარდი	ჟელეზნიკი (იუგოსლავია)
13	ჰიუსტონი (მიჰყიდა ნიუ ჯერსის)	რიჩარდ ჯეფერსონი	ფორვარდი	არიზონა
14	გოლდენ სტეიტი	ტროი მერფი	ფორვარდი	ნოტრდამი
15	ორლანდო	სტივენ ჰანტერი	ცენტრი	დეპოლი
16	შარლოტი	კირკ ჰესტონი	ფორვარდი	ინდიანა
17	ტორონტო	მაიკლ ბრედლი	ფორვარდი	ვილანოვა
18	ჰიუსტონი (მიჰყიდა ნიუ ჯერსის)	ჯეისონ კოლინზი	ცენტრი	სტენფორდი
19	პორტლენდი	ზაკ რენდოლფი	ფორვარდი	მიჩიგან სტეიტი
20	კლივლენდი (მიჰყიდა ორლანდოს)	ბრენდან ჰეივუდი	ცენტრი	ჩრდილოეთ კაროლინა
21	ბოსტონი	ჯოზეფ ფორტი	უკანა ხაზი	ჩრდილოეთ კაროლინა
22	ორლანდო	ჯერილ სასერი	უკანა ხაზი	საუთერნ მეთოდისტი
23	ჰიუსტონი (მიჰყიდა ნიუ ჯერსის)	ბრენდონ არმსტრონგი	უკანა ხაზი	ჰეპერდაინი
24	იუტა	რაულ ლოპესი	უკანა ხაზი	რეალი (ესპანეთი)
25	საკრამენტო	ჯერალდ ვოლესი	ფორვარდი	ალაბამა
26	ფილადელფია	სამუელ დალემბერი	ცენტრი	სეტონ ჰოლი
27	ვანკუვერი	ჯამაალ ტინსლი	უკანა ხაზი	აიოვა სტეიტი
28	სან ანტონიო	ტონი პარკერი	უკანა ხაზი	რასინგი (საფრანგეთი)
29	მინესოტა	*არჩევანის უფლება ჩამორთმეული აქვს*		
38	დეტროიტი	მეჰმეთ ოქური	ფორვარდი	ეფესი (თურქეთი)
48	ვანკუვერი	ანტონის ფოკისი	ფორვარდი	პანათინაიკოსი (საბერძნეთი)
56	სან ანტონიო	რობერტას იავტოკასი	ფორვარდი	ლიეტუვოს რიტასი (ლიტვა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კალათბურთელთა ნაკრების ორი ახალგაზრდა წევრი, სტამბოლის „ულქერის“ ზაზა ფაჩულია და ლიუბლიანის „სლოვანის“ ნიკა ცქიტიშვილი იტალიაში, ქალაქ ტრევიზოში, კლუბ „ბენეტონის“ მიერ გამართულ ტანმაღალ კალათბურთელთა საწვრთნელ-საჩვენებელ შეკრებაში მონაწილეობდნენ. ამ შეკრებაზე ვარჯიშებს მაღალი დონის სპეციალისტები ატარებდნენ. მათ შორის იყვნენ ნბა-ს, „დალას მავერიქსის“ თავკაცი დონი ნელსონი თავის სამ თანაშემწესთან ერთად, „ბენეტონის“ მთავარი მწვრთნელი პიერლუიჯი ბუჩი, ასევე იტალიური „ადეკო მილანის“ დამრიგებელი გვიდო საიბენე და ლიტვის ნაკრების ხელმძღვანელი იონას კაზლაუსკასი.
ორიოდ დღის წინ ზაზა და ნიკა თბილისში დაბრუნდნენ და საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებს შეუერთდნენ, რომელიც ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისთვის ემზადება.

ვარაზ დოლიძაშვილის ფოტო

ნიკა ცქიტიშვილი (მარცხნივ) და ზაზა ფაჩულია

ეს შეკრება რა ყოფილა?!

დონი ნელსონის ნავარჯიშევი ქართველით იტალიური და ესპანური ბობოლები დაინტერესდნენ

ზაზა ფაჩულია

— პირველები ტრევიზოში ჩვენ ჩავედით, მეორე დღეს შეკრების ყველა, ოცდაოთხივე მონაწილე ადგილზე იყო. შეკრებას რვა მწვრთნელი ემსახურებოდა. ოთხი მათგანი ნბა-დან იყო — „დალას მავერიქსის“ მთავარი მწვრთნელი დონი ნელსონი და მისი სამი თანაშემწე. სამი იტალიელი და იონას კაზლაუსკასი, რომლის სახელსაც უკავშირდება ლიტვის ნაკრების ბოლოდროინდელი წარმატებები. ვარჯიშები დღეში ორჯერ, დილა-საღამოს იმართებოდა და ორსაათნახევარს გრძელდებოდა. ოცდაოთხი მონაწილე ოთხ გუნდად ვიყავით გაყოფილნი. თავიდან ერთი მწვრთნელი გვახურებდა, მერე მეორე დრიბლინგზე გვამუშავებდა, ბოლოს კი ორ-ორი მათგანი თითოეულ გუნდს ნახევარი საათის განმავლობაში ათასგვარ კომბინაციებსა და ვარჯიშებს გვაკეთებინებდა. ყოველ კალათბურთელს რვავე მწვრთნელთან უხდებოდა ურთიერთობა. ისინი სათამაშო ილეთს გვიჩვენებდნენ და სანამ ყველა სწორად არ შეგასრულებდით, მანამ მომდევნოზე არ გადავიდოდით. ვარჯიშებისას დარბაზი თითქმის ყოველთვის სავსე იყო. იქ გულშემატკივართა გარდა კალათბურთის უამრავი სპეციალისტი, მწვრთნელი თუ აგენტი იმყოფებოდა. ის სამი დღე, რომლებიც იტალიაში გავატარეთ, ძალიან ნაყოფიერი იყო.

— თურქეთისგან განსხვავებული ვარჯიშები ჩაგიტარდათ?

— იმის თქმა არ მინდა, რომ თურქი მწვრთნელები დაბალი დონისანი არიან, მაგრამ ნბა-ს სპეციალისტებს მაინც ვერ შევადარებ. კომბინაციებსა და ილეთების მხრივ დიდი განსხვავება არ იყო, მაგრამ სულ სხვაა, როცა ამას უმაღლესი კლასის ოსტატები გაკეთებინებენ. ისინი ნამდვილი პროფესიონალები არიან და მათთან ვარჯიში ბევრად სასიამოვნო და საინტერესოა. განსხვავება უშუალოდ ვარჯიშებში კი არა, ვარჯიშის ჩატარების სპეციფიკასა და ხარისხში იყო.

— რა შეგმატათ იტალიურმა შეკრებამ?

— უპირველეს ყოვლისა გამოცდილება. ასეთ გარემოში პირველად მოვხვდი. ამ შეკრების მაღალ დონეზე მასში მონაწილე მწვრთნელთა დიდი ავტორიტეტიც მეტყველებს. მიუხედავად იმისა, რომ ვარჯიშები მხოლოდ სამ დღეს გაგრძელდა, ეს დადებითად წაგვადგა. შარშანაც გვინდოდა ანალოგიურ შეკრებაზე მოხვედრა, მაგრამ, სამწუხაროდ, ვერ მოვახერხეთ. ყველანაირად ვეცდებით, რაც შეიძლება მეტ ამგვარ შეკრებაში მივიღოთ მონაწილეობა, ეს უდავოდ დაგვეხმარება და ხელს შეგვიწყობს მაღალი დონის კალათბურთელებად ჩამოყალიბებაში.

— თქვენით ვინმე ხომ არ დაინტერესებულა?

— თავიდანვე მინდა განვაცხადო, რომ ჩვენი მიზანი იტალიაში წასვლისას არ ყოფილა ის, რომ ვინმეს მოვწონებოდით. ჩვენთვის მთავარი ამ შეკრებაში მონაწილეობა იყო, რითაც საკალათბურთო ელიტას ჩვენს ქვეყანას გავაცნობდით და დავანახებდით, რომ საქართველოშიც არიან ახალგაზრდა, პერსპექტიული კალათბურთელები.

რაც შემეხება მე, როგორც ჩემი მენეჯერისგან გავიგე, საკმაოდ ბევრი კლუბის ყურადღება მივიქციე. „ბენეტონის“, „სკავოლინის“ და „ტაუს“ წარმომადგენლები მარკ ფლეიშერს ჩემს შესახებ ესაუბრნენ, მაგრამ რაიმე კონკრეტული წინადადებები, რამდენადაც ვიცი, არ შემოუთავაზებიათ. მათ ამჯერად მხოლოდ ჩემი ვარჯიში ნახეს და არა თამაში. სატრანსფერო სეზონი ჯერ არ გახსნილა და რაიმე კონკრეტული საუბრისგან თავს იკავებენ. ამ კლუბებთან მუდმივი კონტაქტი ჩემს მენეჯერს ექნება. წინ მთელი ზაფხულია, ვიფიქრებ, ყველაფერს გავაანალიზებ და გადაწყვეტილებას შემდგომ მივიღებ. ისე, თუ კარგი პირობები შემომთავაზეს, ალბათ, დაგთანხმდები.

ნიკა ცქიტიშვილი

როდესაც ფაჩულია იტალიურ ამბებზე საუბრობდა, დარბაზში ნიკა ცქიტიშვილმა შემოაბიჯა და სანამ ზაზა თხრობას დასრულებდა, გამოიცვალა კიდეც შემთხვევა ხელიდან არ გავუშვი და ვარჯიშის დაწყებამდე ნიკას ორიოდე სიტყვით იტალიურ შთაბეჭდილებებზე გამოვკითხე.

— ძალიან კმაყოფილი ვარ. ყველაფერი უმაღლეს დონეზე იყო ორგანიზებული. იდეალური პირობები შეგვიქმნეს. თანაც უმაღლესი დონის მწვრთნელები გვავარჯიშებდნენ. ამ შეკრებაზე ბევრი ისეთი რამ შევითვისე, რასაც აქამდე ნაკლებ ყურადღებას ვაქცევდი, არადა, მეტად მნიშვნელოვანი ყოფილა. გარდა ამისა, დიდი გამოცდილება შევიძინე, რაც უეჭველად გამომადგება, ვეცდები, მომავალში არც ერთი ასეთი სახის შეკრებას არ გამოვაკლდე. მომავალ წელს ტრევიზოში მე და ზაზა აუცილებლად წავალთ.

— ვინმემ ხომ არ დაგიდგათ თვალი?

— ჩემი მენეჯერი იტალიაში იყო და ამ საქმით ის გახლდათ დაკავებული. ვერ გეტყვით, უშუალოდ რომელი კლუბის თვალთახედვის არეში მოვხვდი, ამაზე კონკრეტული საუბარი ჩემს მენეჯერთან ჯერ არ მქონია, მაგრამ დაინტერესება რომ იყო, ნამდვილად ვიცი.

ირაკლი ბერტაია

ოქროს ხანის დღე პირველი

ოქროს ლიგა

რომი, პარიზი, ოსლო, მონაკო, ციურიხი, ბრიუსელი, ბერლინი — ამ ქალაქებში და დღეიდან ზუსტად ზაფხულის ბოლომდე „ოქროს ლიგის“ ეტაპები შედგება, ყველაზე სახელოვანი სამძლეოსნო შეჯიბრებისა, თუ სპორტის დედოფალს პროფესიული კუთხიდან შევხედავთ.

ოთხი წლის წინათ აწგანსვენებულმა პრიმო ნებიოლომ მძლეოსნობას რეალური პროფესიული ელფერი შესძინა, როცა „ოქროს ლიგა“ დააფუძნა. მაშინ ლიგის საპრიზო ფონდი მილიონი დოლარი იყო, მაგრამ ნებიოლოს გარდაცვალებისთანავე მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ (იააფ) ათლეტთა ჰონორარს ეგზოტიკა შეჰმატა და გაანახევრა: ლიგის შვიდიდან ხუთი ეტაპის მომგებნი 50 კილოგრამ ოქროს ზოდებს ინაწილებენ, რაც სადღეისოდ ნახევარი მილიონი დოლარის ექვივალენტური გახლავთ.

არ გვაქვს ინფორმაცია, რომ წლეულს რამე შეიცვალა, თუმცა ის კი გავიგეთ, რომ იააფ-ის შეფები პერსპექტივაში რაღაცეებს შეცვლიან. ლიგის პირველი ეტაპის პარალელურად, რომელიც რომში შედგება „ჰონდას“ სპონსორობითა და „ოქროს გალას“ სახელწოდებით, მარადიული ქალაქი იააფ-ის ოფიციოზსაც უმასპინძლებს. პრეზიდენტი ლამინ დიაკი აცხადებს, რომ „ოქროს ლიგა“ კიდევ უფრო სანახაობრივი გახდება. დიაკი რომში შეჯიბრის წინადღეს ოფიციალური ლანჩის გამართვას აპირებს, რომელზეც საპატიო სტუმრად სახელგანთქმული საიდ აუიტა მიუწვევია. მაროკოელ ექსსტაიერს რომი გამორჩევით უყვარს, რადგან იქ იყო მისი ტრიუმფი 1987 წლის 22 ივლისს, როცა 5000 მეტრი 13 წუთზე ნაკლებში გაირბინა მსოფლიოში პირველად.

მოქმედი სტაიერებიდან ლიგის პირველ ეტაპზე მრავალ ქებულს ვიხილავთ, ისევე, როგორც სხვა დისციპლინებში. ნამდვილად ცნობილია, რომ რომში სიდნეის ოლიმპიადის 37 მედალოსანი გამოვა, ხოლო ჰიშამ ელ გურუჯის მონაწილეობა საეჭვოა, რადგან მაროკოელს ახალი გეგმა შეუდგენია და მისი შესრულებისთვის ემზადება. საუბარია გზის დაგრძელებაზე. 1500 და 3000 მეტრებზე, აგრეთვე 1 მილზე ელ გურუჯს ტოლი არა ჰყავს (სიდნეის ოლიმპიადის კაზუსს თუ არ ჩავთვლით, სადაც კენიელმა ნოა ნგენიმ გაუსწრო), ამიტომ ახალი ჰორიზონტები მოსწყურებია და 5 კილომეტრის ტაქტიკას ამულამებს. „არ დამივწყებია — ამბობს ელ გურუჯი — 9 წლის წინ სეულში სწორედ 5 კილომეტრზე რომ გამისწრეს. მე თავიდან 5000 მეტრის კაცი ვიყავი და ახლა ძველს ვუბრუნდები. როგორც კი ედმონტონის მსოფლიოს ჩემპიონატს მოვილევ, სადაც, იმედია, ოქრო მერგება, პირველსავე ტურნირში 5 კილომეტრს ვირბენ“.

ის ეთიოპი, ჰაილე გებრესილასიე, რომელმაც ელ გურუჯი სიყრმისას დაჩაგრა, დღესაც 5 კილომეტრის მსოფლიო ლიდერია მოწინავე შედეგით — 12 წუთი 39 წამი და 36 მეასედი, მაგრამ იგი რომში არ იქნება, სხვა შავი მგლები კი ირბენენ და სულ არაა გამორიცხული, რეკორდი დაემხოს. ორი გვარის დასახელება კმარა: ეთიოპი ოლიმპიური ჩემპიონი მილიონ ვოლდე და კენიელი რიკარდ ლიმო, რომელიც ფორმის პიკზეა.

ლიმომ კენიის ჩემპიონატზე ნაირობიში 5000 მეტრი 13.17,20-ში გალია, რაც ზღვის დონისთვის თურმე 13 წუთზე ნაკლებს უტოლდება (ნაირობი მაღლაა).

სხვადასხვა გრძელი დისტანციის რეკორდებს ემუქრებიან აგრეთვე კენიელები — დანიელ კომენი და სემი კიპკეტერი, ეთიოპები ფიტა ბაიესა და ალიუ მეკონენი, არაბულძირა ბელგიელი მუჰამედ მურიტი. ისინი დიდი სახელის პატრონები არიან იმ სპრინტერთა დარად, რომლებიც რომში ირბენენ. მორის გრინს 100 მეტრზე მთავარ მეტოქეობას გაუწევენ აშშ-ის ჩემპიონი ტიმ მონტგომერი და ბარბადოსელი ობადელე ტომპსონი, რომელიც სიდნეიში მესამე ადგილზე გავიდა.

800 მეტრის ფავორიტი რუსი „რაკეტა“ იური ბორზაკოვსკი გახლავთ, რომლის მთავარ კონკურენტად მასპინძელი ანდრეა ლონგო განიხილება.

მოკლედ, „ოქროს ლიგა“ დაიწყო. მთელი ზაფხული ამ ამბის ამსახველ რეპორტაჟებს არ მოგაკლებთ.

დავით გულუა

„ოქროს ლიგის“ ეტაპები

1	რომი	29 ივნისი
2	პარიზი	6 ივლისი
3	ოსლო	13 ივლისი
4	მონაკო	20 ივლისი
5	ციურიხი	17 აგვისტო
6	ბრიუსელი	24 აგვისტო
7	ბერლინი	31 აგვისტო

ჰიშამ ელ გურუჯის რომში სირბილი საეჭვოა

სარბიელი
სპორტული ლატარია
კროკო

რუსეთი. მე-15 ტური
30 ივნისი

16.00	001	კრილია-ფაკელი	1,4	3,8	7,0
16.00	002	ტორპედო-სატურნი	1,5	3,5	6,0
16.00	003	ალანია-ტორპედო ზილ	1,6	3,3	5,3
16.00	004	ანჟი-როსტსელმაში	1,65	3,3	4,7
16.00	005	ლოკომოტივი-როტორი	1,3	4,4	8,0
16.00	006	ზენიტი-სპარტაკი	2,8	2,9	2,4
16.00	007	სოკოლი-ჩერნომორეცი	1,4	3,8	7,0
16.00	008	ცსკა-დინამო	2,1	3,0	3,3

შვედეთი. მე-12 ტური
1 ივლისი

20.00	009	ჰეკენი-ტრელებორგი	1,9	3,2	3,5
20.00	010	ელფსბორგი-იურგორდენი	1,95	3,2	3,4

2 ივლისი

22.00	011	ჰამარბი-ჰელსინგბორგი	2,4	3,0	2,7
22.00	012	მალმიო-სუნდსვალი	1,55	3,5	5,3
22.00	013	იორებრო-ჰალმსტადი	2,3	3,1	2,8

ნორვეგია. მე-13 ტური
1 ივლისი

21.00	014	ბოდიო გლიმტი-სიოგნდალი	2,2	3,1	2,8
21.00	015	ბრინი-ლინი	2,1	3,2	3,1
21.00	016	მოლდე-ვიკინგი	2,5	3,0	2,5
21.00	017	მოსი-სტაბეკი	2,7	3,2	2,3
21.00	018	სტრიომგოდსეტი-ოდ გრენლანდი	2,7	3,2	2,3
21.00	019	ტრომსიო-ლილესტრიომი	2,7	3,2	2,3
23.05	020	რუსენბორგი-ბრანი	1,55	3,4	5,6

ფინეთი. მე-16 ტური
1 ივლისი

20.30	025	ატლანტისი-ტამპერე	2,2	3,1	3,0
20.30	026	ჰაკა-ლაჰტი	1,4	3,8	7,0
20.30	027	კუოპიო-ინტერი	2,4	3,0	2,7
20.30	028	როვანიემი-ჯაზი	2,0	3,2	3,3
20.30	029	ვაასა-იოკერიტი	1,9	3,2	3,5

ესპანეთის თასი. ფინალი (სევილიაში)
30 ივნისი

00.30	030	ხელტა-სარაგოსა	2,2	3,1	3,0

ინტერტოტო. II ეტაპი. I მატჩები
30 ივნისი

18.00	501	ბაზელი-გრინდავიკი	1,25	4,4	8,0
20.00	502	სლავენი-ბასტია	2,5	3,0	2,5
21.00	503	დინამო (მინსკი)-ჰაპოელი (ჰაიფა)	1,9	3,1	3,6
21.00	504	პობედა-რიზე	1,9	3,2	3,8
23.00	505	ჩელიკი-გენტი	2,4	3,2	2,5
23.00	506	შტურმი-ლოზანა	1,55	3,4	5,6
23.00	507	ტრუა-ვიტ ჯორჯია	ანგარიში - 5,0		

1 ივლისი

18.00	508	ოდენსე-აიკ	2,3	3,0	2,9
18.00	509	მიუნხენი-სარტიდი	1,25	4,4	8,0
19.30	510	სინოტი-უნივერსიტატია	1,55	3,5	5,3
20.00	511	ლიეპაია-ჰერენვენი	3,2	3,4	1,95
20.00	512	ზაგლებე-ლოკერენი	1,95	3,3	3,3
20.30	513	სპარტაკი (ვარნა)-ტაერია	1,65	3,3	4,7
20.30	514	ტილიგული-ტატაბანია	2,2	3,0	[illegible]
21.00	515	ცელიე-პეტრუალკა	1,8	3,1	4,0
21.00	516	პსჟ-ჯაზი (ნეიტრ.)	1,2	5,0	9,0

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები
29 ივნისი

21.00	517	ლიბია-ანგოლა	3,8	3,3	1,7

30 ივნისი

19.00	518	ნამიბია-ალჟირი	2,4	2,9	2,8
24.00	519	მაროკო-ეგვიპტე	1,85	3,0	4,0
01.00	520	ტრინიდადი-იამაიკა	2,3	3,1	2,8

1 ივლისი

19.30	521	კამერუნი-ტოგო	1,1	6,0	12,0
21.00	522	ბურკინა ფასო-სამხრეთ აფრიკა	3,4	3,1	2,0
21.00	523	კოტ დივუარი-მადაგასკარი	1,15	5,6	10,0
21.00	524	ლიბერია-განა	1,8	3,2	3,6
22.00	525	მექსიკა-აშშ	2,0	3,1	3,4
22.00	526	სუდანი-ნიგერია	3,0	3,1	2,1
23.00	527	ტუნისი-კონგო	1,15	5,6	10,0
24.00	528	ურუგვაი-ბრაზილია	3,3	3,0	2,1
02.55	529	ჰონდურასი-კოსტა რიკა	1,9	3,0	3,8

მსოფლიოს ჩემპიონატი. ჭაბუკები (არგენტინაში). 1/4 ფინალი
1 ივლისი

22.00	534
22.00	535
00.45	536
00.45	537

ევროპის ჩემპიონატი ქალები (გერმანიაში)
30 ივნისი

17.10	540	ინგლისი-გერმანია	1,0	1,0	1,0
17.10	541	შვედეთი-რუსეთი	1,0	1,0	1,0

1 ივლისი

19.30	542	დანია-ნორვეგია	1,0	1,0	1,0
19.30	543	საფრანგეთი-იტალია	1,0	1,0	1,0

ჩოგბურთში უიმბლდონის ტურნირის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ

კროკოს ბიუროთა მისამართები:

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი აღმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
წინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41

ქუთაისი — პუშკინის ქუჩა№16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27

ბორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი; სტალინის ქუჩა№30

თელავში — კოსტავას ქუჩა №23.

რუსთავში — შარტავას ქუჩა №7

ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23

ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113 (მალე)

ქობულეთში — აღმაშენებლის ქუჩა №106

მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39

ჩოგბურთის მატჩის შეწყვეტის შემთხვევაში მოქმედებს იგივე წესი, რაც ფეხბურთში.

ჩოგბურთის ანგარიშის ფსონი მრავლდება მხოლოდ ანგარიშისაზე, ისევე როგორც შედეგის ფსონი შედეგისაზე. ანგარიშის ფსონის შედეგის ფსონზე გადამრავლება დაუშვებელია.

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	აღმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
გორი	სტალინის ქუჩა №30	ჭადრაკის კლუბი
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №61	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
ქობულეთი	აღმაშენებლის ქუჩა №106	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	

გათამაშების წესები

თამაშში მონაწილე პირის მიზანია, გამოიცნოს ტირაჟში მოცემული სპორტული შეჯიბრების შედეგი, სპორტის სათამაშო სახეობებში მატჩის ძირითადი დროის შედეგი (მოგება, ფრე, წაგება). ფსონების სია ქვეყნდება გაზეთ „სარბიელში“. სიაში მატჩის გასწვრივ მითითებულია კოეფიციენტები ყოველ შესაძლო შედეგზე. დასაშვებია მოგების კოეფიციენტების ცვლილება გაზეთის გამოსვლის შემდეგ. მოთამაშე ვალდებულია, დააზუსტოს კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ჩაბარების ადგილზე გამოკრული ფსონების მიხედვით. შედეგის გამოცნობისას მოთამაშე მიიღებს თანხას, რომელიც დადებული თანხისა და კოეფიციენტის ნამრავლის ტოლია.

ფსონები მიიღება როგორც ცალკეულ მატჩზე, ასევე რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე. ამ შემთხვევაში მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ვარიანტში აღნიშნული ყველა თამაშის შედეგი. თუ ფსონი დადებულია რამდენიმე მატჩის შედეგის ერთდროულად გამოცნობაზე, მოგების კოეფიციენტი შეადგენს ცალკეული შედეგების შესაბამისი კოეფიციენტების ნამრავლს (მეათედის სიზუსტით, დამრგვალების გარეშე). კოეფიციენტების ნამრავლი არ უნდა აღემატებოდეს 1000-ს. თუ ნამრავლი 1000-ზე მეტია, მოგების კოეფიციენტად ჩაითვლება 1000.

არათანაბარი სიძლიერის გუნდების შეხვედრისას მატჩის გასწვრივ შეიძლება მითითებული იყოს ანგარიში (ჰანდიკაპი) და, შესაბამისად, მატჩის შედეგი განისაზღვრება ამ ანგარიშის გათვალისწინებით.

ფეხბურთის ნებისმიერი მატჩის ანგარიშის გამოცნობისთვის, თუ არ არის მითითებული სპეციალური ფსონი ანგარიშისთვის, კოეფიციენტი 5,0-ის ტოლია.

კოეფიციენტები მრავლდება მხოლოდ ერთი და იგივე სახის პროგნოზისთვის (მაგალითად: თამაშის შედეგი — შედეგზე, გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლა — შემდეგ ეტაპზე გასვლაზე და ა.შ.). ერთი და იგივე წყვილის ორი სხვადასხვა სახით შეტანა ერთ ვარიანტში კოეფიციენტების გადასამრავლებლად არ შეიძლება (მაგ: ინტერი — კალიარი 3:0 და ინტერი — კალიარი 1, ან ინტერი — კალიარი 1 და ინტერი — კალიარი (0:1) 1). თუ ერთ ვარიანტში ერთი და იგივე წყვილი ორი სხვადასხვა სახით აღმოჩნდება შეტანილი, ქვითრის განხილვისას მხედველობაში მიიღება წყვილის ის პროგნოზი, რომლის შესაბამისი კოეფიციენტიც მეტია. თუ ბილეთში შეტანილი მატჩის ფორა მოთამაშის მიერ არასწორად არის მითითებული, მხედველობაში მიიღება ფორა, რომელიც გამოქვეყნებული არის „კროკო“-ს მატჩთა სიაში.

ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება, თუ:

① ფსონი დადებულია მატჩის დაწყების შემდეგ

② შეიცვალა მასპინძელი გუნდი (ორმატჩიანი სათასო ტურნირებისთვის გაუქმებულად არ ითვლება ფსონი, რომელიც დადებულია გუნდის შემდეგ ეტაპზე გასვლაზე). ერთი და იგივე ქალაქის სხვა სტადიონზე მატჩის გადატანისას, ან მატჩის ნეიტრალურ მინდორზე ჩატარებისას ფსონი გაუქმებულად არ ითვლება

③ შეხვედრა არ ჩატარდა ან გადაიდო სამ დღეზე მეტი ვადით (ტექნიკური შედეგი მხედველობაში არ მიიღება)

④ მატჩი ჩაიშალა, არ დამთავრდა, ან შედეგი არ დაფიქსირდა და არ იქნა გადათამაშებული სამი დღის ვადაში

⑤ წყვილში შეცდომით არის მითითებული რომელიმე გუნდი

⑥ არასწორად ან არასრულად არის შევსებული ქვითარი

ცალკეულ მატჩზე დადებული ფსონი მატჩის გადადების ან არჩატარების შემთხვევაში უბრუნდება მოთამაშეს. იმ შემთხვევაში, როდესაც ბილეთში შეტანილია რამდენიმე მატჩის შედეგი ერთად და ერთ-ერთი შეხვედრა რაიმე მიზეზით გაუქმდა, ამ მატჩის შედეგი მოთამაშეს ჩაეთვლება გამოცნობილად (კოეფიციენტი — 1,0) და დანარჩენი შედეგები არსებული წესის მიხედვით განიხილება.

თუ მატჩი დამთავრდა და მისი შედეგი დაფიქსირდა, ხოლო შემდეგ გაპროტესტდა და შედეგი შეიცვალა ან მატჩი გადათამაშდა, მოგებები გაიცემა პირველი შედეგის მიხედვით. გაუქმებულად ჩაითვლება მხოლოდ ის ფსონები, რომლებიც ჩამოსულია ორმატჩიან სათასო ტურნირებში შემდეგ ეტაპზე გასვლისთვის პირველი მატჩების წინ).

ტურში გატანილი გოლების რაოდენობაზე დადებული ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოცემული ტურის რომელიმე მატჩი გადაიდო და ამ მატჩს შეეძლო გავლენა მოეხდინა ბილეთში შევსებულ პროგნოზზე.

ფსონის მინიმალური ოდენობაა: ერთ ვარიანტზე 1 ლარი. თუ ერთ ვარიანტზე დადებულია 1 ლარზე ნაკლები, მაშინ ფსონი გაუქმებულად ითვლება და თანხა მოთამაშეს უბრუნდება. ფსონები, რომლებზეც შესაძლო მოგება აღემატება 5 000 ლარს, თანხმდება ადმინისტრაციასთან.

ქვითარი უნდა შეივსოს გარკვევით შავი ან ლურჯი ფერის პასტით, არ შეიძლება ქვითრის ფანქრით ან წითელი პასტით შევსება. გადაშლილი ან გადასწორებული ქვითარი არ განიხილება და თანხა უბრუნდება მოთამაშეს. ბილეთში, რომელიც ჩაბარებულია ბუკმეკერთან, ცვლილებების შეტანა აკრძალულია, ჩაბარებული ბილეთი უკან არ გაიცემა. ერთ ბილეთში რამდენიმე ვარიანტის შეტანისას მოთამაშე ვალდებულია, მიუთითოს ვარიანტთა საერთო რაოდენობა.

ქვითარი თვითკოპირებადია და შედგება ორი იდენტური ნაწილისგან, ივსება მხოლოდ პირველი პირი მოთამაშის მიერ და იგი არის სრული პასუხისმგებელი მის სწორად შევსებაზე. შევსებული ქვითარი უნდა ჩაბარდეს „კროკო“-ს ბუკმეკერს, რომელიც თავისი პირადი ბეჭდით ადასტურებს ქვითარის მიღებას, აწერს მას ჩაბარების თარიღს და უბრუნებს მოთამაშეს მის კუთვნილ ნაწილს. ბუკმეკერი არ აგებს პასუხს ქვითარში აღნიშნული მატჩებისა და ფსონების მართებულობაზე. ქვითრების გაცემა არ არის შეზღუდული და მას საბუთის ძალა ენიჭება მხოლოდ ზემოთ აღნიშნული წესით შევსებისა და „კროკო“-ს ადმინისტრაციაში ჩაბარების შემდეგ.

მატჩთა სიასთან ერთად ჩაბარების პუნქტებში გამოკრული უნდა იყოს ბუკმეკერთა ბეჭდების ნიმუშები, რომლებიც მოქმედია ჩაბარების დღისთვის.

მოგებები გაიცემა და პრეტენზიები განიხილება ქვითარში შეტანილი მატჩების ჩატარების ბოლო თარიღიდან ერთი კვირის განმავლობაში. ამ ვადის გასვლის შემდეგ მოგებები არ გაიცემა და პრეტენზიები არ მიიღება. მოგებების გაცემა იწყება მატჩის შემდგომ პირველივე სამუშაო დღეს. იმ შემთხვევაში, თუ მოგებულ ბილეთზე გასაცემი თანხა აღემატება ათას ლარს, დასაშვებია მოგება გაიცეს სამი სამუშაო დღის დაგვიანებით.

ადმინისტრაცია პასუხს არ აგებს და მოგებებს არ ანაღდებს იმ ქვითრებზე, რომლებიც არ ჩაბარდა ადმინისტრაციას „კროკო“-ს შიდაგანაწესით დადგენილი წესების მიხედვით.

მოთამაშის მონაწილეობა „კროკო“-ს მიერ წარმოებულ ლატარიებში ნიშნავს, რომ იგი გაცნობილია გათამაშების წესებს და თანახმაა, ითამაშოს არსებული წესებით.

ევროპული შვიდკაცა ქართული პროექტით

გასულ უქმეებზე ჩეხეთის დედაქალაქ პრაღაში FIRA-AER-ის ყოველწლიური კონგრესი მოეწყო, რომელშიც საქართველოს რაგბის კავშირიც მონაწილეობდა. ქართულ მხარეს კავშირის პრეზიდენტი ბიძინა გეგიძე და ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი წარმოადგენდნენ. ევროპული რაგბის მამების თავშეყრამ ორ დღეს გასტანა. ჩვენ პრაღიდან დაბრუნებული ბიძინა გეგიძეს გავესაუბრეთ და იქ მოსმენილ-განხილულ საჭირბოროტო საკითხებზე დავეკითხეთ.

ბიძინა გეგიძე

— პრაღაში მე და ზაზა ქასაშვილი ჩავედით. ზაზა რაგბის განვითარების კომიტეტში მუშაობდა, მე კი კონგრესის სხდომაში მივიღე მონაწილეობა. თავიდან გასული სეზონის შედეგები შეჯამდა. ყურადღება გამახვილდა სხვადასხვა ქვეყნების რაგბის ფედერაციების მიერ ჩატარებულ სამუშაოებზე. ამას ყველაფერს ერთგვარი რეიტინგის სახე მიეცა და შედეგები სხდომის დარბაზში დამონტაჟებულ დიდ ეკრანზე დაეწერა. პირველად ეროვნული ნაკრებების რეიტინგი გამოქვეყნდა. რა თქმა უნდა, პირველობა ჩვენ გვერგო, ერთა თასის მოპოვებამ საკმაოდ დიდი ქულები მოგვიტანა. ამის შემდეგ ჭაბუკთა ნაკრებებს მივადექით. საუკეთესო გუნდად ისევ საქართველო დაასახელეს. თქვენ წარმოიდგინეთ, ახალგაზრდულმა ნაკრებმაც სხვებზე მეტი სარეიტინგო ქულა მოიპოვა. მართალია, მსოფლიოს თასზე ვერ გავედით, მაგრამ აქ მარტო შედეგზე არ ამახვილებენ ყურადღებას. ითვალისწინებენ გუნდის პროგრესს, გაწეულ სამუშაოებს და ასე შემდეგ. ამ კრიტერიუმების გათვალისწინებით საქართველომ ყველას აჯობა. უნდა გენახათ, რა გულზე სკდებოდნენ ზოგიერთი რაგბის ფედერაციის ხელმძღვანელები. ნერვიულობისგან თითებს იკვნეტდნენ და ამას ყველაფერს მივაღწიეთ მაშინ, როდესაც საქართველოში ერთი ნორმალური სტადიონიც კი არ გვაქვს.

კონგრესის მეორე საკითხი გაისად გასამართი ერთა თასის კალენდრის დადგენა გახლდათ, რომლის დამტკიცებასთან დაკავშირებით პრობლემებს დწინაღმდეგობებს წავაწყდი. საქმე ისაა, რომ 2002 წლის ერთა თასის მატჩები ექვსი ერის ჩემპიონატის პარალელურად უნდა გაიმართოს. ამასთანავე მეტოქეთა თანმიმდევრობა იგივე უნდა დარჩენილიყო, როგორც წლეულს. ერთი სხვაობა სტუმარ-მასპინძლობა გახლდათ. ვისაც წლეულს შინ ვეთამაშეთ, იმას გაისად ვესტუმრებით და პირიქით. ჩემთვის მოულოდნელად, რუმინეთის და ესპანეთის რაგბის ფედერაციების ხელმძღვანელებმა კალენდრის განრიგის შეცვლა მოითხოვეს და ყველაფრის თავდაყირა დაყენება მოინდომეს. მათ კალენდარი საკმაოდ არაობიექტურად შეედგინათ, მხოლოდ საკუთარი ინტერესები გაეთვალისწინებინათ, მაგრამ ჩვენ, რომ იტყვიან, ფეხი არ მოგვიცვლია და კალანდარი ისეთი დავტოვეთ, როგორიც უნდა ყოფილიყო. ამაში მხარი რუსეთის რაგბის კავშირმაც დაგვიჭირა და ერთიანი ძალებით უკუვაგდეთ რუმინეთ-ესპანეთის შემოტევა.

ამის შემდეგ უკვე ნაკლებად საინტერესო საკითხებს შევეხეთ. ერთი მნიშვნელოვანი მოვლენა ის იყო, რომ კონგრესის სხდომაზე მოეწყო FIRA-AER-ის ახალი სპონსორის, „სოსაითიდ ჟენერალის“ პრეზენტაცია. ეს საკმაოდ მძლავრი ფრანგული ბანკია და ყველაზე გავლენიან ფინანსურ ორგანიზაციათა სიაში შედის.

კონგრესის პარალელურად მიდიოდა მუშაობა ევროპის რაგბის განვითარების კომიტეტში, რომელშიც საქართველოს, რაგბის კავშირის ვიცე-პრეზიდენტი ზაზა ქასაშვილი წარმოადგენდა. ზაზამ კომიტეტს თავისი ახალი პროექტი წარუდგინა, რომელიც გერმანიის რაგბის ფედერაციის ერთ-ერთ ჩინოსანთან ერთად იყო შემუშავებული. საუბარია გაისად გასამართ ევროპის ჩემპიონატზე შვიდკაცა რაგბიში. ზაზამ შვიდკაცა რაგბის ავანჩავანი ხუთიანზე იცის. ამიტომ პროექტი. უმაღლეს დონეზე იყო ჩამოყალიბებული, მაგრამ ზოგიერთ კონსერვატორულად განწყობილმა პირმა რატომღაც დაიწუნა პროექტი, არა, წუნი ვერაფერი უპოვეს, მაგრამ... ამას კარგად გაანალიზება სჭირდება, იქ ფინანსებიო და ასე შემდეგ. ერთი სიტყვით, დიდხანს უტრიალეს, მაგრამ ბოლოს საღმა აზრმა იზეიმა და პროექტიც დამტკიცდა. საერთოდ მაღალ ეშელონებში რატომღაც გულზე არ ეხატებათ ჩვენნაირი პატარა ქვეყნების, ასე ვთქვათ, ინიციატივები. ჩვენს მოზღვავებულ წინადადებებს ვერ უმკლავდებიან და ზოგიერთი საკითხის გვერდის ავლასაც ლამობენ.

— საკმაოდ შეხვედრები თუ გქონდათ?

— უმაგისოდ როგორ იქნებოდა, მაგრამ იმდენად მცირე დრო იყო ჩემს განკარგულებაში, რომ ბევრი ვერაფერი მოვასწარი. პრაღაში შევხვდი IRB-ის წარმომადგენლებს და პრეზიდენტ ვერნონ პიუს. შეხვედრა ნაყოფიერი გამოდგა და რაღაც-რაღაცეებზეც ვისაუბრეთ. მნიშვნელოვანი ისაა, რომ ამიერიდან პირდაპირ კავშირს დავამყარებთ IRB-სთან. აქამდე FIRA იყო ჩვენი შუამავალი. მას უნდა მოეცა ჩვენთვის რეკომენდაცია, იქ რაღაც საკითხები უნდა შეეთანხმებინა და მხოლოდ ამის შემდეგ გამოგვიყოფდა IRB გრანტებს. მომავალში კი, როგორც გითხარით, პირდაპირ კონტაქტს დავამყარებთ რაგბის საერთაშორისო საბჭოსთან, რაც გაგვიადვილებს ურთიერთობებს.

— აღბათ, საუბარი ფინანსურ დახმარებაზეა?

— დიახ. აქამდეც დაგვხმარებია IRB. ეს თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, მაგრამ ეს ზღვაში წვეთია. IRB-ს თავისი საქმეებიც მრავლად აქვს და ფინანსურად არც ისეთი ძლიერი ორგანიზაციაა, როგორც, ვთქვათ, ფიფა. თანაც ახლა 2003 წლის მსოფლიოს თასის საორგანიზაციო საკითხები აქვს მოსაგვარებელი და ჩვენთვის არავის სცხელა. თუ რაგბი საქართველოში სახელმწიფოს დაინტერესების ობიექტი არ გახდება, წინ ვერ წავალთ. დავიღალე უკვე ამის ძახილით, მაგრამ შენც არ მომიკვდე, ჩვენსკენ საფუძვლიანად არავის მოუხედავს.

ბაჩო სვანიძე

ტაი-ბრეიკი

ბორგი და ბორგეტა

ელენა დოკიჩი
ბიორნ ბორგის მაისურაში

ფლეულს „ოლ ინგლენდ კლაბის“ ბალახის კორტებზე კვლავ გამოჩნდა ლეგენდარული ბიორნ ბორგის საფირმო წვრილზოლიანი მაისურა, ოღონდ ამჯერად ის ძლიერი კი არა, შშვენიერი სქესის წარმომადგენელს აცვია.

უიმბლდონის ხუთგზის ჩემპიონი შვედის ანალოგიურ აღკაზმულობაში ფირმა „ფილამ“ იუგოსლავიელი ელენა დოკიჩი გამოაწყო. 18 წლის ამომავალი ვარსკვლავი როლან გაროსზე ამის გამო „ბორგ-ეტადაც“ მონათლეს. „სეტანტად“ წოდებულ სპორტულ კოლექციას, რაც იტალიურად „70-იანებს“ ნიშნავს, შიგადაშიგ მსოფლიოს მეოთხე ჩოგანი ჯენიფერ კაპრიატიც უწევს რეკლამას.

„ფირმას სურდა, ბიორნ ბორგის დროინდელი მოდა გაეხსენებინა და ვფიქრობ, ეს ურიგოდაც არ გამოუვიდა. ბორგი მილიონების კერპი იყო და ჩემთვის ერთი სიამოვნებაა მსგავსი ტანისამოსის ტარება“ — ამბობს იუგოსლავიელი.

სასიხარულო ამბავია ელენასთვის ისიც, რომ მისი შერეკილი მამა დამირი გამოსწორების გზას ადგას. მეორე წრეში ქალიშვილის გამარჯვების აღსანიშნავად უფროსი დოკიჩი ის-ისაა ყალიონის გაბოლებას აპირებდა, რომ მასთან ტურნირის დაცვის წარმომადგენელი მივიდა და განუცხადა, ტრიბუნაზე ამის გაკეთება აკრძალულიაო. კანონის დამცველებთან დამირის „ტკბილი“ ურთიერთობის კარგად მცოდნეები მოსალოდნელი აფეთქების წინ გაინაბნენ, მაგრამ ყოფილმა ტაქსისტმა და მოკრივემ მხოლოდ ბოროტი მზერა და მშობლიურ სერბულზე შეკურთხება იკმარა, გარეთ გავიდა და გამარჯვების ჩიბუხი იქ გააბოლა.

არ წახვიდე, პატრიკ!

სათაურში მოხსენიებული სიტყვები ინგლისის მეორე ჩოგან გრეგ რუზეცკის ეკუთვნის, თუმცა არ გეგონოთ, რომ ის აშშ-ის ღია პირველობის ორგზის ჩემპიონ პატრიკ რაფტერის მიმართავდეს, რომელიც სეზონის ბოლოს გაპენსიონერებას გეგმავს. „არსენალის“ მხურვალე გულშემატკივარმა რუზეცკიმ მისი საყვარელი გუნდის ფეხბურთელ პატრიკ ვიეირას მოუწოდა. ეს უკანასკნელი „მეთოფეების“ დატოვებას აპირებს.

„გთხოვ, დარჩი, პატრიკ, შენ ჩვენ გვჭირდები, არ წახვიდე“ — თხოვა მსოფლიოს ჩემპიონს ექსკანადელმა მეორე წრეში ბაირონ ბლექის დამარცხების შემდეგ.

სამაგიეროდ, რუზეცკის სიტყვაც ვერ დააცდენინეს „არსენალში“ მტრული „ტოტენჰემიდან“ სოლ კემპბელის სავარაუდო გადმოსვლის შესახებ. „სოლს რაც შეეხება, კომენტარისგან თავს შევიკავებ. ეს სახიფათო თემაა“ — გაიღიმა მსოფლიოში უსწრაფესი მოწოდების პატრონმა.

პიტი მოკვდა

დღეს უილიამსები დაჩვეულნი არიან ტურნირებზე თავიანთი შინაური ზოოპარკით სიარულს. როლან გაროსზე სერენას ფინია ბილა ჯეკისა და ვინუსის ბობის ორგანიზატორებმა სპეციალური საშვებიც კი გამოუყვეს. აი, უიმბლდონზე კი დებს ადამიანის მეგობრების გარეშე მოუხდებათ ყოფნა — დიდ ბრიტანეთში ცხოველების შეყვანაზე ათასგვარი შეზღუდვა-აკრძალვებია დაწესებული, თანაც „ოლ ინგლენდ კლაბის“ წმინდა ბალახზე ძაღლების პარპაშსა და საფარის გარდუვალ წაბილწვას აქაურები სულაც არ მიესალმებიან.

„აქ რომ ბობი იყოს, გაცილებით უკეთეს გუნებაზე ვიქნებოდი. ის დისციპლინაში ცოტას მოიკოჭლებს, სამაგიეროდ, მოთესლვაში მეხმარება. ძალიან მენატრება, ნეტავ, სურათები მაინც წამომეღო. სერენას საფულე თავისი ძაღლის სურათებით აქვს გამოტენილი“ — დაიჩივლა პრესკონფერენციაზე ვინუსმა.

BBC-ის ცნობილ წამყვან ჯონ ინვერდეილს უფროსი უილიამსის ძაღლებთან მეტად უსიამოვნო მოგონება აკავშირებს. ვინუსთან ინტერვიუს აღების მსურველმა ინგლისელმა წინასწარ გაიგო, რომ ჩოგბურთელს იორკშირული ტერიერი პიტი ჰყავდა (რა თქმა უნდა, სამპრასის საპატივცემულოდ). როდესაც მონტე კარლოში სასტუმროს ჰოლში ძაღლთან ერთად მჯდომი ამერიკელი დაინახა, ინვერდეილმა მისი მოთაფვლა გადაწყვიტა: „მოხარული ვარ თქვენი ხილვის, ვინუს, ეს კი პიტი უნდა იყოს, არა?“.

„პიტი მოკვდა. ეს ბობია“ — ცივად მიუგო ვინუსმა და მეორე მხარეს შეტრიალდა.

სჯობს მადრიდი

ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციამ (ITF) გაითვალისწინა შარშანდელი მწარე გამოცდილება და გადაწყვიტა, ქალთა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონატის — ფედერაციის თასის ფინალური ტურნირი აშშ-ის ნაცვლად ესპანეთში ჩაატაროს.

წესით, როგორც შარშანდელ გამარჯვებულებს, გათამაშების მასპინძლობა ამერიკელებს ეკუთვნოდათ. პრობლემა ის არის, რომ შარშან ლას ვეგასში ასეთივე ტურნირზე ტრიბუნები სანახევროდაც კი არ ივსებოდა. მაყურებელთა მთავარმა სატყუარებმა — დებმა უილიამსებმა კი ასპარეზობის სანაცვლოდ მილიონი დოლარი მოითხოვეს და როდესაც ეროვნული ფედერაციისგან სასტიკი უარი მიიღეს, თამაშზე უარი განაცხადეს.

დევისის თასის დიაცურ ანალოგს 5-11 ნოემბერს ესპანეთის დედაქალაქი მადრიდი უმასპინძლებს და ის თიხნარზე გაიმართება. ფინალური ტურნირის ოთხი მონაწილე — აშშ, ჩეხეთი, ბელგია და ესპანეთი უკვე ცნობილია, დანარჩენი ოთხის ვინაობას კი 21-22 ივლისის ნახევარფინალური მატჩები გაარკვევს: საფრანგეთი — იტალია, გერმანია — არგენტინა, რუსეთი — სლოვაკეთი და ავსტრალია — შვეიცარია.

ავთანდილ სვანიძე

Chess Classic
Mainz 2001
Vesselin Kramnik
Luis Adams

მაინცის ტურნირი სწრაფ ჭადრაკში

ბერლინის კედელმა ანანდი დაანგრია

მაინცში გრძელდება პარალელური მატჩები: ვლადიმირ კრამნიკი ვიშვანათან ანანდს სწრაფ ჭადრაკში ებრძვის, პეტერ ლეკო და მაიკლ ადამსი „ფიშერის ჭადრაკით“ არეობენ მაყურებელს. ორივეგან ლიდერი გამოიკვეთა.

ლეკომ კიდევ დაამტკიცა, რომ ჭადრაკის ახალ სახეობას პირველად არ თამაშობს. ორი პარტიის შემდეგ იგი წინ იყო, ახლა კი სულაც ორი ქულით დაწინაურდა. მესამე პარტიაში ადამსს თეორებით ბევრი არ უომია, ყაიმს ისე დასჯერდა, ხოლო მეოთხეში ლეკომ საშიში შეტევა განავითარა. ადამსის პოლიტიკა უცვლელი იყო: სწრაფი გაცვლები და ენდშპილი, სადაც სტანდარტული ჭადრაკის თეორიას კვლავ წონა შეემატებოდა და მერე კი ადამსი ლეკოზე ნაკლები როდი გახლავთ.

უნგრელმა არ აცალა. 30-ე სვლამდე არმისული შავი მეფე თავის ორ ეტლს შუა გაეჩხირა და თეთრმა ლაზიერმა იგი კოხტად გამოიჭირა. მეფის სულის მოსათქმელად ადამსს მინიმუმ ეტლი უნდა გაეწირა და მერე თამაშს აზრი ეკარგებოდა, ამიტომ ინგლისელი 29-ე სვლაზე დანებდა. ახლა ლეკო 3:1 იგებს, კრამნიკი კი უფრო მოკრძალებულად, 2,5:1,5 ანანდს ამარცხებს, მაგრამ მეორე ანგარიში უფრო ფასეულია — ანადი და კრამნიკი მსოფლიოს ჩემპიონები არიან, მათი ყოველი პარტია უაღრესად პრინციპულია.

საწყისი ორი ყაიმის შემდეგ მესამე პარტიაში თეთრი ფიგურები ანანდს ჰყავდა. ინდოელმა ვაჟკაცურად პირდაპირ მტრის ბუნაგში შერგო თავი — ბერლინის სისტემა გაითამაშა. კრამნიკის ბერლინის კედელი მხოლოდ ერთხელ, კასპაროვმა დაანგრია, ახლა კი, ალბათ, ანანდსაც სურდა მაინცდამაინც პრინციპულ დებიუტში ეძლია მეტოქე. ინდოელმა თეორიულ სიახლეს მიმართა და თავიდან კრამნიკმა ვერ მოახერხა ყველა პრობლემის გადაჭრა, თუმცა ძლიერი სვლებით ნელ-ნელა გაათანაბრა პოზიცია და 24-ე სვლაზე კი გაიხარა მეტოქის უხეში შეცდომის ხილვით.

დიაგრამაზე ნაჩვენებ პოზიციაში ანანდმა ითამაშა 24. bXc4?? და თავი დაიღუპა, რადგან კრამნიკმა გააგრძელა 24...ᲛXf4 25.gXf4 g3 26.Მfl gXf2+ 27.Მფh2 კXc4. მორჩა, თეთრები დანებდნენ.

დავით გულუა



ეროვნული ბიბლიოთეკა

უიმბლდონი 2001



ევგენი კაფელნიკოვი მესამე წრეში გავიდა

REUTERS ლონდონიდან



ბერი კოუენმა (მარცხნივ) პიტ სამპრასი გვარიანად შეაშინა

ლივერპულმა რა ჰქმნა

კლასიფიკაციით 265-ე ინგლისელი ბერი კოუენი, პიტ სამპრასისგან განსხვავებით, ვერც ჰოლივუდის ვარსკვლავი შეულლით დაიტრაბახებს, ვერც 13 დიდი სლემის ტიტულით და ათეული მილიონობით დოლარით საბანკო ანგარიშზე. 26 წლის, თანამემამულეთათვისაც უცნობი ჩოგბურთელი ჯერაც დედ-მამის სახლში ცხოვრობს, ფული ტურნირიდან ტურნირამდე სამოგზაუროდ ძლივს ჰყოფნის და „მეიჯორზე" კარიერის პირველი მატჩი მხოლოდ ორშაბათს მოიგო.

ბევრის აზრით, უიმბლდონის მბრძანებელი სამპრასისა და კოუენის შეხვედრა მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟული ტურნირის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე ხანმოკლე უნდა გამოდგარიყო, ამიტომ ორგანიზატორებმა ის ცენტრალური კორტისთვისაც კი არ გაიმეტეს და თავისიანის გამოცხადებული მკვლელობის ქრონიკა პირველ კორტზე გადაიტანეს. მით უარესი მათთვის — „ოლ ინგლენდ კლაბის" გიგანტური ეკრანის წინ ბალახზე წამოგორებული ათასობით ქომაგისა და BBC-ის მილიონობით განცვიფრებული ტელემაყურებლის თვალწინ „ლივერპულის" თავგადაკლული ფანი უფრო ახლოს იყო ბალახზე „პისტოლ პიტის" დამარცხებასთან, ვიდრე მათი მთავარი ჯილა ტიმ ჰენმანი, ანდრე აგასი ან პატრიკ რაფტერი.

პირველ ორ ხელში სამპრასისთვის საგანგაშო არაფერი მომხდარა: განერვიულებული ინგლისელი ხშირად ცდებოდა, მეტოქის ტყვიასავით მოწოდებებს ვერაფერს უხერხებდა და როგორც ჩანდა, იმითაც კმაყოფილი იყო, საერთოდ მშრალზე რომ არ აგებდა. „ამდენი ხალხის წინ ასეთი მრისხანე მეტოქის წინააღმდეგ არასოდეს მითამაშია, ბუნებრივია, თავიდან ცოტა გამიჭირდა. როდესაც მესამე სეტის დასაწყისში ტრიბუნებმა ტალღა მოაწყვეს, გავიფიქრე, ღმერთო, სირცხვილია, უნდა შევეცადო ცოტა უკეთ ვითამაშო-მეთქი" — გაიხსენა მოგვიანებით კოუენმა.

ამასობაში ინგლისელმა თავისი საიდუმლო იარაღიც აამუშავა: გეიმებს შორის შესვენებებზე თავზე პირსახოცს გადაიფარებდა, „უოლქმენის" ჟურსამენებს მოიმარჯვებდა და „ლივერპულის" ჰიმნ you'll never walk alone-ს დაჭექებდა („ეგ კასეტა აუცილებლად უნდა ვიშოვო" — გაიხუმრა მერე სამპრასმა).

ცვლილება თვალში საცემი სწრაფად არ გამხდარა, მაგრამ მესამე ხელის შუიდან კოუენი უკვე აღარაფრით ჩამოუვარდებოდა მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგანს, ტაი-ბრეიკზე კი საერთოდ უშეცდომოდ გაისარჯა და ანგარიში შეამცირა. კიდევ უფრო დიდი სიურპრიზი ინგლისელმა მეტოქეს მომდევნო სეტში გაუმზადა, როდესაც მოწოდება აართვა და ტრიბუნების ისტერიულ ღრიალში კიდევ ერთი ხელი მოიგო.

„დამსახურებას ვერ დაუკარგავ, მან შესანიშნავად ითამაშა, მატჩის გარკვეულ მონაკვეთში — ჩემზე უკეთაც. რეალური წაგების შიში არ განმიცდია, მაგრამ საკმაოდ დაძაბული ნამდვილად ვიყავი. ასეთ მომენტებში ვიხსენებ, ვინ ვარ, სად ვთამაშობ და თავდაჯერება მიბრუნდება. ვიცი, როცა საჭირო იქნება, მოვუმატებ კიდეც" — განაცხადა შეხვედრის შემდეგ სამპრასმა.

გადამწყვეტი ხელის დასაწყისში „პისტოლ პიტმა" მართლაც ისევ გაიჯეჯილა და 4:0 დაწინაურდა. კოუენს დანებება არც უფიქრია. ინგლისელმა მეტოქეს მოწოდება მაშინვე აართვა, 2:4-ზე კი ანგარიშის მინიმუმამდე შესამცირებლად კიდევ ორი ბრეიკპოინტი ჰქონდა. როგორც არაერთხელ თავის ხანგრძლივ და ტიტულებით დახუნძლულ კარიერაში, სამპრასი ამჯერადაც მოწოდებამ გადაარჩინა — ამერიკელი ორი ეისით დაუძვრა ხიფათს და თითქმის სამსაათიანი შეხვედრა 6:3, 6:2, 6:7(5:7), 4:6, 6:3 მოიგო.

„რა სამწუხაროა, რომ პიტმა ის მცირე შანსი მეხუთე სეტში ეისებით წამართვა. თუმცა, სწორედ ამიტომ არის ის შვიდგზის უიმბლდონის ჩემპიონი. კორტიდან გამოსვლისას ძალიან იმედგაცრუებული ვიყავი, თუმცა რაც უფრო მეტს ვიფიქრებ ამ მატჩზე, მით უფრო კმაყოფილების გრძნობამ უნდა ამავსოს, თავი ნამდვილად არ შემირცხვენია" — ძნელია, არ დაეთანხმო ჩოგბურთელს, რომელიც ორიოდ კვირაში ისევ ქვედა ლიგაში გადაინაცვლებს და მატჩების დროს ბურთის მომტანიც თავად იქნება.

სამდღიანი მზიანი ამინდებისა და სარეკორდო რაოდენობით მაყურებლების მიზიდვის შემდეგ (121 796) უიმბლდონს ბოლოს და ბოლოს ჩვეული შხაპიც დაატყდა თავს. წვიმა სწორედ მაშინ წამოვიდა, ჩოგბურთელებმა დღის პირველი ორთაბრძოლების წინ მოთეღვა და ორი-სამი ქულის გათამაშება რომ მოასწრეს. კორტებზე სასწრაფოდ გადაფარებული ბრეზენტი კიდევ საათზე მეტი უმკლავდებოდა თავსხმას, მერე კი ღრუბლებიდან ისევ მზემ გამოანათა.

სამპრასის მწარე გაკვეთილიდან გამომდინარე, სხვა ვაჟმა ბობოლებმა გუშინ ინგლისელი მეტოქეების წინააღმდეგ საქმე ზედმეტად არ გაირთულეს. „პიტის გაჭირვების ხილვა სულაც არ მჭირდება იმისთვის, რომ უიმბლდონის მეორე წრეში მეტოქეს შესაბამისი პატივისცემით მოვეპყრო. რამდენად ცალკარაც არ უნდა ჩანდეს შეხვედრა ქაღალდზე, მატჩის მოგებას მაინც დიდი ოფლის ღვრა სჭირდება. თანაც ნებისმიერი მეტოქის გასახარად, არაჩვეულებრივი ნიჭი მაქვს, დეპრესიაში ჩავვარდე" — არ დაუმალავს მასპინძელ ჯემი დელგადოსთან შეხვედრის შემდეგ ანდრე აგასის.

ხოტორა ლასვეგასელს, სამპრასისგან განსხვავებით, პატრიოტულად განწყობილი ტრიბუნებისთვის სასიხარულო ბევრი არაფერი მიუცია. ანდრემ უკანა ხაზიდან აშკარად დაჩაგრა მეტოქე და 6:2, 6:4, 6:3 მოგებას სულ 88 წუთი დაახარჯა.

მსოფლიოს ყოფილ პირველ ჩოგან ევგენი კაფელნიკოვს აზიური წარმოშობის ბრიტ არვინდ პარმარის დასამარცხებლად დამატებითი სტიმული სულაც არ სჭირდებოდა — სოჭელი ჟენია ძალიან დაბოლმა ამ უკანასკნელის განცხადებამ, თანამემამულეებიდან მოგების ყველაზე კარგი შანსი მე მაქვს, კაფელნიკოვმა ბალახზე თამაში არ იცისო.

სიდნეის ოლიმპიურმა ჩემპიონმა შეხვედრა უხეიროდ დაიწყო და პირველი ხელის ტაი-ბრეიკზე ორი ორმაგითა და ბადესთან ბავშვური შეცდომით მეტოქეს მოგება თავად გადაულოცა. 27 წლის რუსმა მერე თანდათან მოუმატა, კორტზე წინ გაჭრილ მეტოქეს ზუსტ მიღებებსა და შემოვლებულებს აღარ აკარებდა, მატჩის ბოლოს კი კლასში განსხვავება შეუთანაღებული თვალითაც ცხადი გახდა — 6:7(5:7), 6:3, 6:3, 6:1.

„მე ნებისმიერ საფარზე საუკეთესოთა ათეულში შევდივარ, პარმარი კი დიდი მიღწევებით ვერ დაიტრაბახებს — გაკენწლა მეტოქე რუსმა — დასაწყისში ოდნავ ვღელავდი, თუმცა როგორც კი დავწყნარდი და ჩვეულად ავთამაშდი, თავი საფრთხეში აღარ მიგრძნია. დიდი სლემის ტურნირებზე სამ მოგებამდე თამაში მატჩში გარდატეხის შეტანის ბევრ შესაძლებლობას იძლევა".

მეტ-ნაკლებად სახელოვან დიაცთა შორის გუშინ თავი მხოლოდ უიმბლდონის შარშანწინდელმა ნახევარფინალისტმა ალექსანდრა სტივენსონმა შეირცხვინა. NBA-ს ყოფილი სუპერვარსკვლავის, ჯულიუს ირვინგისა და თეთრკანიანი ჟურნალისტის 10-წუთიანი რომანის ნაყოფს ვეტერანმა იტალიელმა სილვია ფარინამ აჯობა 6:3, 6:2.

ჭკუამხიარულმა სტივენსონმა, რომელიც მსახიობობასა და ოსკარის მიღებაზე ოცნებობს (ისე, გიჟის ან ჭკუანაკლულის როლი მართლაც კარგად გამოუვიდოდა) ყველაფერი ზურგის ტრავმას დაბრალა, თავი მოიწონა, პრინცესა დიანას ყოფილ აკუპუნქტურისტთან ვმკურნალობდიო და ცოტა წაიტრაბახა კიდეც: „ტრავმა რომ არ მქონოდა, აქ კიდევ ბევრს შევძლებდი. გაისად ჯანმრთელი დავბრუნდები და მაშინ ყველა მიფრთხილდეს".

უიმბლდონის ორგანიზატორები მულატი ჩოგბურთელის ამბავების შემდეგ შეეგბით ამოისუნთქავდნენ. ერთი კვირის წინ ალექსანდრას შერეკილმა დედა სამანტამ ნოტინგემის ტურნირზე ერთი პიანისტი კინალამ ცემა, ჩემს შვილს ხმაურით თამაშში ხელს უშლიო, მერე კი ალექსანდრას ნატალი ტოზიასთან წაგების ამსახველი ყველა გაზეთი და მათგან ამონაჭერი დაფხრიწა.

მამას რას ვერჩით, თორემ, როგორც იტყვიან, დედა ნახე...

ავთანდილ სვანიძე



AP ლონდონიდან

ალექსანდრა სტივენსონს ექიმი წამლობს

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

REUTERS ლონდონიდან

ᲛᲐᲘᲜᲪ ᲙᲛᲐᲧᲝᲤᲘᲚᲘ ᲓᲐ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ

*ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲘ ᲑᲔᲠᲘ ᲙᲝᲣᲜᲘ ᲣᲓᲐᲠᲓᲔᲚᲐᲓ ᲬᲐᲛᲝᲒᲝᲠᲔᲑᲣᲚᲐ ᲓᲐ ᲤᲝᲢᲝᲒᲐᲛᲔᲠᲔᲑᲡ ᲨᲔᲡᲪᲘᲜᲘᲡ. ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲝᲠᲔ ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲛᲝᲒᲐᲠᲓᲜᲐ ᲖᲝᲒᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲢᲠᲐᲒᲔᲓᲘᲐᲐ, ᲑᲔᲠᲘ ᲙᲘ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲡ ᲓᲐᲠᲓᲝᲑᲡ. ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚᲗᲐ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲐᲡᲔᲣᲚᲨᲘ ᲩᲐᲯᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲓᲐᲠᲓᲔᲑᲔᲚᲘᲪ ᲐᲠᲐᲤᲔᲠᲘᲐ, ᲛᲘᲗ ᲣᲛᲔᲢᲔᲡ, ᲠᲝᲛ ᲔᲡ ᲩᲯᲐᲠᲒᲣᲚᲘ ᲙᲐᲪᲘ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲓᲦᲔ ᲢᲐᲜᲯᲐᲕᲓᲐ ᲗᲕᲘᲗ ᲞᲘᲢ ᲡᲐᲛᲘᲠᲐᲡᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲮᲣᲗᲘ ᲡᲔᲢᲘ ᲛᲝᲐᲜᲓᲝᲛᲐ ᲙᲝᲣᲜᲘᲡ ᲓᲐᲛᲐᲠᲪᲮᲔᲑᲐᲡ — 6:3, 6:2, 6:7, 4:6, 6:3. ᲐᲛᲐᲡᲗᲑᲐᲨᲘ ᲙᲘ ᲣᲘᲛᲑᲚᲓᲝᲜᲡ ᲩᲐᲡᲣᲚᲐ ᲡᲘᲓᲜᲔᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲡᲞᲠᲘᲜᲢᲨᲘ, ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲔᲚᲘ ᲐᲑᲝᲠᲘ�გᲔᲜᲘ ᲙᲔᲢᲘ ᲤᲠᲘᲛᲔᲜᲘ, ᲕᲘᲡᲐᲪ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲔᲚ ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲔᲚ ᲛᲐᲘᲙᲚ ᲩᲐᲜᲒᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲒᲐᲓᲐᲣᲚᲘᲐ ᲡᲣᲠᲐᲗᲘ. ᲤᲝᲢᲝ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲘᲗᲘ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ: ᲔᲡ ᲝᲠᲜᲘ ᲞᲔᲙᲘᲜᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲘᲡ ᲔᲚᲩᲔᲑᲘ ᲒᲐᲮᲚᲐᲕᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲨᲘ. ᲝᲪᲘᲝᲛᲓ ᲓᲦᲔᲨᲘ ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲨᲘ ᲒᲐᲘᲠᲙᲕᲔᲕᲐ, ᲕᲘᲜ ᲣᲛᲐᲡᲞᲘᲜᲫᲚᲔᲑᲡ 2008 ᲬᲚᲘᲡ ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐᲡ ᲓᲐ ᲠᲐ ᲨᲔᲓᲔᲒᲘ ᲒᲐᲛᲝᲘᲦᲝ ᲐᲛᲐᲗᲛᲐ ᲔᲚᲩᲝᲑᲐᲛ.

REUTERS ლონდონიდან

რაკეტის შკვდავსაყოფად

შარშან გარდაცვლილ კანადის ჰოკეის უპირველეს ლეგენდას, მორის რიშარს, ულში, კვებეკში, ძეგლი დაუდგეს. რაკეტად წოდებული რიშარი თვრამეტ წელიწადს თამაშობდა „მონრეალ კანადიენსში“ და რვაჯერ მოიგო სტენლის თასი. ძეგლი დიდი მოთამაშის ვაჟმა, მორის რიშარ უმცროსმა და ჰოკეისტის ძმამ, ანრი რიშარმა გახსნეს.

REUTERS ულიდან

ᲐᲘ, ᲐᲛ ᲗᲐᲡᲘᲡᲗᲕᲘᲡ

REUTERS კოფს ᲨᲐᲠᲨᲘᲜᲐᲓᲐᲜ

ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ ᲙᲐᲠᲡᲐᲐ ᲛᲝᲛᲓᲒᲐᲠᲘ: ᲮᲕᲐᲚ ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲘᲡ „ᲙᲠᲘᲙᲔᲢ ᲒᲠᲐᲣᲜᲓᲖᲔ“ ᲔᲠᲗᲛᲐᲜᲔᲗᲡ ᲨᲔᲔᲠᲙᲘᲜᲔᲑᲘᲐᲜ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲘ ᲐᲕᲡᲢᲠᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲐᲠᲐᲒᲑᲝ ᲜᲐᲙᲠᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲚᲘ ᲚᲝᲛᲔᲑᲘ. ᲡᲐᲯᲘᲚᲓᲐᲝ ᲙᲘ ᲢᲝᲛ ᲠᲘᲩᲐᲠᲓᲡᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲒᲣᲜᲓᲔᲑᲘᲡ ᲙᲐ�პᲘᲢᲜᲔᲑᲘ, ᲑᲠᲘᲢᲘ ᲛᲐᲠᲢᲘᲜ ᲯᲝᲜᲡᲝᲜᲘ (ᲛᲐᲠᲯᲕᲜᲘᲕ) ᲓᲐ ᲕᲝᲚᲐᲑᲘ ᲯᲝᲜ ᲘᲚᲖᲘ ᲬᲐᲠᲐᲓᲒᲔᲜᲔᲜ. ᲑᲠᲘᲡᲑᲔᲜᲣᲚᲘ ᲯᲐᲮᲘ ᲡᲐᲛᲢᲔᲡᲢᲐ ᲨᲔᲧᲠᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲜᲐᲑᲘᲯᲘᲐ.

ᲙᲕᲔᲘᲛᲘ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲛᲐ ᲐᲘᲠᲩᲘᲐ

ᲯᲘᲠᲯᲘᲚᲘ ᲙᲕᲔᲘᲛ ᲑᲠᲐᲣᲜᲘ (ᲨᲐᲠᲪᲮᲜᲘᲕ) ᲯᲔᲠᲐᲪ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲛᲝᲡᲬᲐᲕᲚᲔᲐ ᲓᲐ ᲑᲠᲐᲜᲡᲕᲘᲙᲘᲡ ᲒᲚᲔᲜ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲚ ᲙᲚᲐᲡᲨᲘ ᲡᲬᲐᲕᲚᲝᲑᲡ, ᲗᲣᲛᲪᲐ, ᲐᲛᲘᲔᲠᲘᲓᲐᲜ ᲫᲜᲔᲚᲐᲓ ᲠᲝᲛ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲘᲪᲐᲚᲝᲡ. ᲔᲜᲑᲘᲔᲘᲡ ᲓᲠᲐᲤᲢᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲠᲩᲔᲕᲐᲖᲔ, ᲙᲕᲔᲘᲛᲡ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲛᲘᲙᲚ ᲯᲝᲠᲓᲐᲜᲛᲐ ᲓᲐᲐᲓᲝ ᲮᲔᲚᲘ ᲓᲐ „ᲕᲐᲨᲘᲜᲒᲢᲝᲜ ᲕᲘᲖᲐᲠᲓᲨᲘ“ ᲬᲐᲘᲧᲕᲐᲜᲐ. ᲑᲠᲐᲣᲜᲘᲡ ᲓᲔᲓᲐᲛ, ᲯᲝᲜᲘᲡᲛᲐ ᲓᲘᲓᲐᲓ ᲒᲐᲘᲮᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲨᲕᲘᲚᲡ ᲓᲔᲓᲐᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡᲙᲔᲜ ᲓᲐᲣᲚᲝᲪᲐ ᲒᲖᲐ.

REUTERS ნიუ იორკიდან

REUTERS ლონდონიდან

ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚᲘ

ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲒᲐᲖᲔᲗᲘ

ᲒᲐᲛᲝᲘᲪᲔᲛᲐ 1990 ᲬᲚᲘᲡ 28 ᲓᲔᲙᲔᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ

ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ ᲡᲐᲛᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲮᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, ᲞᲐᲠᲐᲡᲙᲔᲕᲘ ᲓᲐ ᲨᲐᲑᲐᲗᲘ

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი პახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორაშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის
რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, თამაზ გოგებაშვილი, ელენე გელუტაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დეკაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, გურამ ხელაშვილი
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge